ᲛᲨᲠᲝᲚᲔᲗᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Კ. Პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲠᲔᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 11 ᲐᲠᲘᲚᲘ, 1944 Წ. № 74 (7018). ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐᲞ.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲛᲔ-3 ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲛᲐ ᲒᲣᲨᲘᲜ, 10 ᲐᲠᲘᲚᲘᲡ, ᲥᲕᲔᲘᲗᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲐᲜ-ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲜᲐᲔᲠᲗᲗᲐ ᲛᲐᲠᲯᲕᲔ ᲨᲔᲛᲝᲕᲚᲘᲗᲘ ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ, ᲠᲐᲪ ᲨᲔᲮᲐᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲤᲠᲝᲜᲢᲐᲚᲣᲠ ᲘᲔᲠᲘᲨᲗᲐᲜ, ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲓᲐ ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲜᲐᲕᲡᲐᲓ�გᲣᲠᲘ—ᲝᲓᲔᲡᲐ—ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲓᲐᲡᲐᲧᲠᲓᲔᲜᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲤᲐᲠᲐᲕᲡ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚ ᲒᲖᲔᲑᲘ.

ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲝᲓᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲚᲔᲑᲡ!

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ
ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲚᲘᲡᲐ
ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ ᲛᲐᲦᲘᲜᲝᲕᲡᲙᲘᲡ

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ მე-3 ფრონტის ჯარებმა დღეს, 10 აპრილს, ქვეითი ჯარისა და ცხენოსან-მექანიზებულ შენაერთთა მარჯვე შემოვლითი მანევრის შედეგად, რაც შეხამებული იყო ფრონტალურ იერიშთან, დაიკავეს ჩვენი ქვეყნის დიდმნიშვნელოვანი სამეურნეო-პოლიტიკური ცენტრი, უკრაინის საოლქო ქალაქი და შავი ზღვის პირველხარისხოვანი ნავსადგური—ᲝᲓᲔᲡᲐ—გერმანელთა თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი, რომელიც იფარავს რუმინეთის ცენტრალური რაიონებისაკენ მიმავალ გზებს.

ᲝᲓᲔᲡᲘᲡ დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ ᲪᲕᲔᲢᲐᲔᲕᲘᲡ, გენერალ-ლეიტენანტ ᲨᲚᲘᲛᲘᲜᲘᲡ, გენერალ-პოლკოვნიკ ᲩᲣᲙᲝᲕᲘᲡ, გენერალ-ლეიტენანტ ᲒᲚᲐᲖᲣᲜᲝᲕᲘᲡ, გენერალ-ლეიტენანტ ᲛᲝᲠᲝᲖᲝᲕᲘᲡ, გენერალ-მაიორ ᲒᲝᲠᲝᲮᲝᲕᲘᲡ, გენერალ-მაიორ ᲠᲣᲑᲐᲜᲘᲣᲙᲘᲡ, გენერალ-მაიორ ᲙᲣᲞᲠᲘᲐᲜᲝᲕᲘᲡ, გენერალ-მაიორ ᲛᲐᲙᲝᲕᲩᲣᲙᲘᲡ ჯარებმა; გენერალ-ლეიტენანტ ᲪᲚᲘᲔᲕᲘᲡ ყუბანელ კაზაკთა ცხენოსანმა შენაერთებმა; სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ᲨᲓᲐᲜᲝᲕᲘᲡ ტანკისტებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ ᲜᲔᲓᲔᲚᲘᲜᲘᲡ, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ ᲕᲝᲖᲜᲔᲡᲔᲜᲘᲣᲙᲘᲡ, არტილერიის გენერალ-მაიორ ᲚᲔᲕᲘᲜᲘᲡ, არტილერიის გენერალ-მაიორ ᲙᲝᲚᲔᲡᲜᲘᲙᲝᲡ არტილერისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ ᲡᲣᲓᲔᲪᲘᲡ, ავიაციის გენერალ-მაიორ ᲢᲝᲚᲡᲢᲘᲙᲝᲕᲘᲡ, ავიაციის გენერალ-მაიორ ᲨᲔᲕᲩᲔᲜᲙᲝᲡ მფრინავებმა და კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ᲚᲔᲝᲜᲝᲕᲘᲡ მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ის შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი ᲝᲓᲔᲡᲘᲡ განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „ᲝᲓᲔᲡᲘᲡ“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 10 აპრილს, 20 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ სამშობლოს სახელით სამასოცდაოთხი ქვემეხის ოცდაოთხი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც გაათავისუფლეს ᲝᲓᲔᲡᲐ.

შავი ზღვის ფლოტის გემებმა ამავე დროს ასოცი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტი მისცენ იმ ჯარების პატივსაცემად, რომლებმაც გერმანელ დამპყრობთაგან გაათავისუფლეს შავი ზღვის უმნიშვნელოვანესი ნავსადგური — ᲝᲓᲔᲡᲐ.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ᲕᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ᲝᲓᲔᲡᲘᲡ განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომელნიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲚᲘᲡᲐ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲘ Ი. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

1944 წლის 10 აპრილი.

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲜᲘ

ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ ორჯერ გაანათა მოსკოვის ცა გამარჯვების რაკეტების ნაირნაირი ფერის შუქმა. სამშობლოს სახელით ორჯერ გაისმა მქუხარი ზალები გმირი საბჭოთა მეომრების პატივსაცემად. წითელმა არმიამ თავის მდიდარ საბრძოლო აქტივში ჩასწერა კიდევ ორი ახალი ისტორიული გამარჯვება, რომლებიც აღბეჭდილია უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძანებებში, დღეს რომ ქვეყნდება.

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები, რომლებმაც დამარცხება მიაყენეს მოწინააღმდეგეს კარპატის მთების ძირებში, გავიდნენ ჩვენს სახელმწიფო საზღვარზე ჩეხოსლოვაკიასა და რუმინეთთან 200-მდე კილომეტრი სიგრძის ფრონტით. ფრონტის ჯარებმა, რომელნიც სდევნიდნენ უკანდახეულ მოწინააღმდეგეს, რუმინეთის ტერიტორიაზე დაიკავეს ქალაქი სერეტი და 30-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები სტრაჟა, მიხეილენი, დერსკა.

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა გადალახეს მდინარე პრუტი ქალაქ იასის ჩრდილოეთით 170 კილომეტრი სიგრძის უბანზე, გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა, დაიკავეს ქალაქები დოროხოი, ბოტოშანი, ბრძოლებით დაიკავეს 150-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, სდევნიან მოწინააღმდეგის ჯარებს და მიადგნენ მდინარე სერეტს 85 კილომეტრი სიგრძის ფრონტით.

სსრ კავშირსა და რუმინეთს შუა სახელმწიფო საზღვარზე ჩვენი ჯარების გასვლის ისტორიულ მომენტში ამხანაგმა მოლოტოვმა საბჭოთა მთავრობის სახელით განაცხადა, რომ „შორს აღარ არის ის დრო, როცა მთელი საბჭოთა საზღვარი რუმინეთთან საესებით აღდგენილ იქნება“.

საბჭოთა მთავრობის განცხადებამ უაღრესად ფართო გამოხმაურება პპოვა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა შორის. ამ განცხადებით ჩვენმა მთავრობამ ერთხელ კიდევ ცხადჰყო ის კეთილშობილური მიზნები, რომლებსაც ესწრაფვის საბჭოთა ხალხი საზოზღარი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. გამანადგურებელი ლახვარი ჩაეცა გერმანელ ფაშისტთა ცრუ და ცილისმწამებლურ პროპაგანდას, თითქოს სსრ კავშირის პოლიტიკა მიმართულია მცირე სახელმწიფოთა „შთანთქმისაკენ“. ამავე დროს ამხანაგ მოლოტოვის განცხადებამ დაანახვა მთელ მსოფლიოს, საბჭოთა ხალხის ურყევი ნებისყოფა სრული გამარჯვების მოპოვებისადმი, დასახული ამოცანის — მტრის სრული განადგურების მიღწევისადმი. საბჭოთა მთავრობის განცხადებაში აღნიშნული იყო: „წითელი არმიის უმაღლესმა მთავარსარდლობამ ბრძანება მისცა შეჩერებულ საბჭოთა ნაწილს სდევნონ მტერი მის განადგურებამდე და კაპიტულაციამდე“.

საბჭოთა მეომრების ახალი სახელოვანი გამარჯვებანი მკაფიოდ მოწმობენ, რომ სულ უფრო და უფრო მატულობს ძალა წითელი არმიის დარტყმებისა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა და მათ მოკავშირეთა წინააღმდეგ. ბრძოლები გადატანილია რუმინეთის ტერიტორიაზე, სადაც წითელი არმია ამარცხებს უკანდახეულ მტერს, სულ უფრო და უფრო გადამწყვეტ და ულმობელ დარტყმებს აგებს მას.

უკვე ჰიტლერის ყბადაღებული „ევროპის ციხე-სიმაგრის“ ფარგლებში, გერმანელთა თავდაცვის ახალი გარღვევა ახალი დიდებით მოსავს წითელი არმიის სამხედრო ხელოვნებას, წითელი არმიისა, რომელიც აღუჭურვილია ძლევამოსილი სტალინური სტრატეგიით. ინიციატივა უკვე დიდი ხანია და საესებით გამოეგლიჯეთ ხელიდან მტერს.

ერთ-ერთ ასეთ ადგილებს ეწოდებოდა ჰიტლერელ სამხედრო ვაი-მიმომხილველთა, რომელნიც ამ უკანასკნელ დღეებში ცდილობდნენ იმით ენუგეშებინათ გერმანელები, რომ, მათი სიტყვით, მალე მოხდებოდა ფრონტის „ბარდუვალი სტაბილიზაცია“. სტაბილიზაციის ნაცვლად მათ მიიღეს გერმანიის სარდლობის ყველა ეარაუდის დამარცხებანელი ჩაფუშვა. და თუ გერმანელ ფაშისტ გენერალთა შეტევითმა სტრატეგიამ უკვე დიდი ხანია სრული კრახი განიცადა, ახლა მთელი მსოფლიო იმის მოწმეა, რომ გერმანელთა თავდაცვითი სტრატეგია სრულიად დაიმსხვრა.

თავის მოხსენებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავის შესახებ ამხანაგმა სტალინმა სთქვა: „გერმანელები ვარაუდობდნენ, რომ კურსს აიღებენ ომის გაჭიანურებაზე, თავდაცვითი მოჯნებისა და „ზღუდეების“ აგება დაიწყეს და ნაძვეყნოდ გამოცხადეს, რომ მათი ახალი პოზიციები მიუვალია. მაგრამ წითელმა არმიამ აქაც ჩაშალა გერმანელთა ეარაუდები, გადალახეს მათი მიჯნები და „ზღუდეები“, წარმატებით განაგრძობს შეტევას და დროს არ აძლევს მათ ომის გასაჭიანურებლად“.

საბჭოთა მეომრების ძლევამოსილი, სულ უფრო და უფრო ზრდადი შეტევა გვიჩვენებს, თუ რა წმიდად ანორციელებს წითელი არმია უმაღლესი მთავარსარდლის სიტყვებს. გერმანელ ფაშისტთა არმიამ ვერ შეძლო შეეჩერებინა გმირი საბჭოთა ჯარების ძლიერი და ბანუწყვეტელი მიწოლა, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ჰიტლერული პრესა იუწყება, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე სულ ახალ-ახალი რეზერვები გამოჰყავთ.

გერმანიის ფაშისტური პრესა ახლა აღაპარაკდა რეზერვებზე, რომლებიც სასწრაფოდ გადმოჰყავთ აღმოსავლეთში. ის ამაზე იმისათვის აღაპარაკდა, რომ გამმხნევოს გერმანელები, რომელნიც სულიერად ეცემინან. მაგრამ ამით ფაშისტურმა პრესამ გამოაშკარავა მის მიერვე შობილი მითი, თითქოს ჰიტლერული ჯარების უკანდახევა იმით არის გამოწვეული, რომ გერმანიის რეზერვები თავმოყრილია დასავლეთში. ამ ზღაპარს ამკვიდრ, როცა წითელმა არმიამ ფართოდ შეარღვია თვით „ევროპული ციხე-სიმაგრის“ კედელი, აღარავინ დაიჯერებს. ფაშისტი ცრუპენტყლებიც კი ვეღარ გაბედავენ მტკიცებას, თითქოს ჰიტლერელთა სარდლობამ „დაითვალისწინა“ საომარი მოქმედების გადატანა გერმანიის მოკავშირისა და თანამონაწილის — რუმინეთის ტერიტორიაზე.

1943 წლის 7 ნოემბრის თავის ბრძანებაში ამხანაგმა სტალინმა, მიმართა რა სამშობლოს დამცველთ, აღნიშნა: „მოსისხლე მტერთან დიად ბრძოლებში თქვენ დიდი გამარჯვებანი მოიპოვეთ და უფრანი დიდებით შემოსეთ წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის საბრძოლო დროშები. წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს ახლა ყველა შეაძლებლობა აქვთ იმისათვის, რომ უახლოეს დროში საესებით განწმინდონ საბჭოთა მიწა-წყალი გერმანელი დამპყრობლებისაგან“. ისტორიული სტალინური სიტყვები ხორციელდება.

წითელი არმიის ახალი ბრწყინვალე გამარჯვებები მთელი საბჭოთა ხალხის გამარჯვებებია, ეს მის გმირულ ღონისძიებათა, ფრონტზე და ზურგში მისი თავდადებული ბრძოლისა და მუშაობის ნაყოფია. ჭეშმარიტად გიგანტური გაქანება იმ ბრძოლებისა, რომლებიც უკვე მოხდა, რომლებიც ახლა ხდება და ჩაღდება, თავისთავად მეტყველებს. ეს გაქანება ყოველ სტატისტიკაზე უკეთესად გვაძლევს იმის წარმოდგენას, თუ რის მოითხოვს ფრონტი ჩვენი ქვეყნისაგან, რითი ახეთ შესანიშნავ გამარჯვებებს მიაღწიონ მტერზე, რომელიც დამარცხებან განიცდის, მაგრამ რომელიც ჯერ კიდევ ძლიერია და რომელიც წინააღმდეგობას გვიწევს შვაგი სასოწარკვეთილებით. და საბჭოთა ზურგი ზუსტად და შეუფერებლად ასრულებს ფრონტის ყველა მოთხოვნას, განამტკიცებს ჩვენი ქვეყნის სახალხო-სამეურნეო ცხოვრებას, ახალ ცხოვრებას ჰქმნის წყეულ დამპყრობთაგან განთავისუფლებულ საბჭოთა მიწა-წყალზე.

ზურგი მხარდამჭერ მიმყვება ფრონტს და სულ ახალ-ახალ გამარჯვებებსა და წარმატებას აღწევს. ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. მთელმა რიგმა ოლქებმა, როგორიც არის მოსკოვის, ჯორჯის ოლქები, ქალაქებმა, როგორიც არის ომსკი, ივანოვო, უკვე შეასრულეს კვარტალური გეგმა. ტეირთზოდის კვარტალური გეგმა შეასრულა რკინიგზის ტრანსპორტმა. დღეს ჩვენ ვიწყებთ შეჯიბრებას მარტის შედეგთა გამოქვეყნებას, რომელიც იმის მკაფიო მაჩვენებელია, რომ განუწყვეტლივ მატულობს შრომითი ენტუზიაზმი საბჭოთა ადამიანებისა, რომელნიც თავიანთ ძალებს არა ზოგავენ გამარჯვების მოპოვებისათვის, ისინი, ისევ, ეზრუნველჰყონ ფრონტი და ზურგი ყოველივე იმით, რაც ესაჭიროებათ სამამულო ომის ბრძოლებისა და ძნელ დღეებში.

საბჭოთა ხალხი დიდი სიამაყით, დამსახურებული სიხარულით შეეგება ცნობას წითელი არმიის ახალ ისტორიულ გამარჯვებათა შესახებ. ეს გამარჯვებანი ახალ-ახალი საბრძოლო და შრომითი გმირობის ჩასადენად ალფრთოვანებენ მგზნებარე საბჭოთა პატრიოტებს გამარჯვების დაჩქარებისათვის, იმ მომენტის მოახლოებისათვის, როცა ანტიჰიტლერული კოალიციის გაერთიანებული ძალების მძლავრი და სულ უფრო და უფრო ზრდადი დარტყმებით ჰიტლერელთა ყაჩაღური არმია საესებით დამარცხებულ იქნება.

„ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ 9 ᲐᲠᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲑᲘᲣᲠᲝᲡᲐ�გᲐᲜ
9 ᲐᲠᲘᲚᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲓᲐᲜ

9 აპრილის განმავლობაში ქალაქ სკალის დასავლეთით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობასა და კონტრიერიშებს, განაგრძობდნენ ბრძოლებს მტრის გარშემორტყმული დაჯგუფების გასანადგურებლად და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას აწარმოებენ მდინარე პრუტსა და მდინარე სერეტს შუა, რუმინეთის ტერიტორიაზე ბრძოლებით დაიკავეს 200-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები როგოზეშტი, კინდეშტი, კალინეშტი, სარაფინეშტი, რუში, ფეგედეუ, კოტნარი, ჩეპელენიცა, ხოდორა, გელჩეშტი, მუნტენი, ვალია ოილორი, ლარგა, ზასტორნა (12 კილომეტრზე იასის ჩრდილო-დასავლეთით) და რკინიგზის სადგურები ვლადენი, ლარგა, მოვილენი, კუკუტენი, კოდუ-ილოაია, გელჩეშტი, კოტნარი.

ამრიგად, ჩვენმა ჯარებმა გადასჭრეს იასი-კაშვანის რკინიგზა.

ᲝᲓᲔᲡᲘᲡ მიმართულებით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას, ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს დასახლებული პუნქტები ᲢᲠᲝᲘᲪᲙᲝᲔ, ᲘᲐᲡᲙᲘ, ᲞᲔᲢᲔᲠᲡᲢᲐᲚᲘ, ᲘᲣᲜᲖᲔᲨᲢᲐᲚᲘ, ᲛᲐᲠᲘᲔᲜᲤᲐᲚᲘ, ᲚᲔᲜᲘᲜᲤᲐᲚᲘ, ᲤᲠᲘᲓᲔᲜᲤᲐᲚᲘ, ᲙᲠᲐᲡᲜᲘ ᲞᲔᲠᲔᲡᲚᲔᲒᲘᲪᲘ (18 კილომეტრზე ᲝᲓᲔᲡᲘᲡ დასავლეთით), ᲕᲐᲡᲘᲚᲔᲕᲙᲐ, ᲞᲔᲢᲠᲝᲕᲡᲙᲘ, ᲕᲘᲖᲝᲓᲐ, ᲒᲘᲚᲘᲪᲘᲐᲓᲣᲚᲘ, ᲙᲐᲚᲘᲝᲠᲘᲝᲕᲝ, ᲐᲚᲢᲔᲡᲢᲝᲕᲝ, ᲮᲝᲚᲝᲓᲜᲐᲘᲐ ᲒᲐᲚᲙᲐ, ᲩᲔᲠᲔᲕᲘᲩᲜᲘ, ᲐᲕᲒᲣᲡᲢᲝᲕᲙᲐ, ᲙᲝᲠᲡᲣᲜᲪᲘ, ᲨᲔᲕᲩᲔᲜᲙᲝ, ᲤᲝᲜᲢᲐᲜᲙᲐ, ᲙᲠᲘᲕᲝᲜᲝᲕᲙᲐ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ დაიკავეს რკინიგზის სადგურები ᲕᲘᲖᲝᲓᲐ და ᲡᲝᲠᲢᲘᲠᲝᲕᲝᲩᲜᲘᲐ (5 კილომეტრზე ᲝᲓᲔᲡᲘᲡ ჩრდილოეთით).

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებენ და ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებს.

8 აპრილის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტებზე დაზიანეს და მოსპეს გერმანელთა 104 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 71 თვითმფრინავი.

10 ᲐᲠᲘᲚᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

10 აპრილის განმავლობაში ქალაქ სკალის დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს მტრის გარშემორტყმული დაჯგუფების მოსახპობად. რუმინეთში ქალაქ ᲑᲝᲢᲝᲨᲐᲜᲘᲡ დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა გადალახეს მდინარეები ᲡᲔᲠᲔᲢᲘ და ᲡᲣᲩᲐᲕᲐ და დაიკავეს ქალაქები რᲘᲯᲔᲣᲪᲘ, ᲡᲝᲚᲙᲐ, ᲡᲣᲩᲐᲕᲐ, რკინიგზის კვანძები ᲓᲔᲠᲐᲛᲔᲨᲢᲘ, ᲕᲘᲠᲔᲨᲢᲘ, ᲓᲝᲚᲪᲔᲡᲙᲐ, ავრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 150-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ᲑᲝᲠᲝᲓᲔᲜᲘᲙᲣᲚᲘ, ᲛᲐᲠᲯᲘᲜᲐ, ᲑᲣᲠᲚᲐ, ᲐᲠᲑᲝᲠᲐ, ᲑᲝᲢᲝᲨᲐᲜᲐ, ᲝᲒᲔᲠ ᲞᲔᲠᲢᲔᲨᲢᲘ, ᲓᲠᲐᲒᲝᲛᲘᲠᲜᲐ, ᲨᲔᲠᲔᲨᲢᲘ, ᲒᲝᲠᲝᲓᲜᲘᲪᲘᲜᲘ, ᲒᲝᲡᲐᲜᲙᲐ, ᲚᲘᲢᲘᲜᲘ და რკინიგზის სადგურები ᲠᲔᲨᲣᲪᲘᲜᲘ, ᲒᲣᲠᲓᲣᲜᲘ, ᲒᲘᲚᲔᲨᲢᲘ, ᲒᲝᲠᲝᲓᲜᲘᲪᲘᲜᲘ, ᲒᲝᲡᲐᲜᲙᲐ, ᲚᲘᲢᲘᲜᲘ.

ᲘᲐᲡᲘᲡ მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი სადგური ᲢᲘᲠᲜᲐᲣ-ᲡᲠᲣᲛᲘᲡᲘ, ავრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 80-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი და მათ შორის ᲙᲠᲘᲡᲢᲔᲨᲢᲘ, ᲒᲝᲛᲝᲨᲢᲘ, ᲕᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ (8 კილომეტრზე ᲘᲐᲡᲘᲡ ჩრდილო-დასავლეთით).

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ მე-3 ფრონტის ჯარებმა დღეს, 10 აპრილს, ქვეითი ჯარისა და ცხენოსან-მექანიზებული შენაერთების მარჯვე შემოვლითი მანევრის შედეგად, რაც შეხამებული იყო ფრონტალურ იერიშთან, დაიკავეს ჩვენი ქვეყნის დიდმნიშვნელოვანი სამეურნეო-პოლიტიკური ცენტრი, უკრაინის საოლქო ქალაქი და შავი ზღვის პირველხარისხოვანი ნავსადგური — ᲝᲓᲔᲡᲐ — გერმანელთა თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი, რომელიც იფარავს რუმინეთის ცენტრალური რაიონებისაკენ მიმავალ გზებს.

ამრიგად, ჩვენმა ჯარებმა გადასჭრეს იასი-კაშვანის რკინიგზა.

ᲝᲓᲔᲡᲘᲡ მიმართულებით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას, ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს დასახლებული პუნქტები ᲢᲠᲝᲘᲪᲙᲝᲔ, ᲘᲐᲡᲙᲘ, ᲞᲔᲢᲔᲠᲡᲢᲐᲚᲘ, ᲘᲣᲜᲖᲔᲨᲢᲐᲚᲘ, ᲛᲐᲠᲘᲔᲜᲤᲐᲚᲘ, ᲚᲔᲜᲘᲜᲤᲐᲚᲘ, ᲤᲠᲘᲓᲔᲜᲤᲐᲚᲘ, ᲙᲠᲐᲡᲜᲘ ᲞᲔᲠᲔᲡᲚᲔᲒᲘᲪᲘ (18 კილომეტრზე ᲝᲓᲔᲡᲘᲡ დასავლეთით), ᲕᲐᲡᲘᲚᲔᲕᲙᲐ, ᲞᲔᲢᲠᲝᲕᲡᲙᲘ, ᲕᲘᲖᲝᲓᲐ, ᲒᲘᲚᲘᲪᲘᲐᲓᲣᲚᲘ, ᲙᲐᲚᲘᲝᲠᲘᲝᲕᲝ, ᲐᲚᲢᲔᲡᲢᲝᲕᲝ, ᲮᲝᲚᲝᲓᲜᲐᲘᲐ ᲒᲐᲚᲙᲐ, ᲩᲔᲠᲔᲕᲘᲩᲜᲘ, ᲐᲕᲒᲣᲡᲢᲝᲕᲙᲐ, ᲙᲝᲠᲡᲣᲜᲪᲘ, ᲨᲔᲕᲩᲔᲜᲙᲝ, ᲤᲝᲜᲢᲐᲜᲙᲐ, ᲙᲠᲘᲕᲝᲜᲝᲕᲙᲐ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ დაიკავეს რკინიგზის სადგურები ᲕᲘᲖᲝᲓᲐ და ᲡᲝᲠᲢᲘᲠᲝᲕᲝᲩᲜᲘᲐ (5 კილომეტრზე ᲝᲓᲔᲡᲘᲡ ჩრდილოეთით).

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებენ და ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებს.

8 აპრილის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტებზე დაზიანეს და მოსპეს გერმანელთა 104 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 71 თვითმფრინავი.

10 ᲐᲠᲘᲚᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

10 აპრილის განმავლობაში ქალაქ სკალის დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს მტრის გარშემორტყმული დაჯგუფების მოსახპობად. რუმინეთში ქალაქ ᲑᲝᲢᲝᲨᲐᲜᲘᲡ დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა გადალახეს მდინარეები ᲡᲔᲠᲔᲢᲘ და ᲡᲣᲩᲐᲕᲐ და დაიკავეს ქალაქები რᲘᲯᲔᲣᲪᲘ, ᲡᲝᲚᲙᲐ, ᲡᲣᲩᲐᲕᲐ, რკინიგზის კვანძები ᲓᲔᲠᲐᲛᲔᲨᲢᲘ, ᲕᲘᲠᲔᲨᲢᲘ, ᲓᲝᲚᲪᲔᲡᲙᲐ, ავრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 150-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ᲑᲝᲠᲝᲓᲔᲜᲘᲙᲣᲚᲘ, ᲛᲐᲠᲯᲘᲜᲐ, ᲑᲣᲠᲚᲐ, ᲐᲠᲑᲝᲠᲐ, ᲑᲝᲢᲝᲨᲐᲜᲐ, ᲝᲒᲔᲠ ᲞᲔᲠᲢᲔᲨᲢᲘ, ᲓᲠᲐᲒᲝᲛᲘᲠᲜᲐ, ᲨᲔᲠᲔᲨᲢᲘ, ᲒᲝᲠᲝᲓᲜᲘᲪᲘᲜᲘ, ᲒᲝᲡᲐᲜᲙᲐ, ᲚᲘᲢᲘᲜᲘ და რკინიგზის სადგურები ᲠᲔᲨᲣᲪᲘᲜᲘ, ᲒᲣᲠᲓᲣᲜᲘ, ᲒᲘᲚᲔᲨᲢᲘ, ᲒᲝᲠᲝᲓᲜᲘᲪᲘᲜᲘ, ᲒᲝᲡᲐᲜᲙᲐ, ᲚᲘᲢᲘᲜᲘ.

ᲘᲐᲡᲘᲡ მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი სადგური ᲢᲘᲠᲜᲐᲣ-ᲡᲠᲣᲛᲘᲡᲘ, ავრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 80-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი და მათ შორის ᲙᲠᲘᲡᲢᲔᲨᲢᲘ, ᲒᲝᲛᲝᲨᲢᲘ, ᲕᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ (8 კილომეტრზე ᲘᲐᲡᲘᲡ ჩ

საქართველოს ქვანახშირის სამრეწველო რაიონების სოციალისტური შეჯიბრება

მარჯვი დანინაურდა ყუვარჩელქვანახშირის ჭრესი

შეჯამებულია საქართველოს ქვანახშირის სამრეწველო რაიონების — ტყიბულისა და ტყვარჩელის მაღაროელთა სოციალისტური შეჯიბრების 1944 წლის მარტის შედეგები.

ქვანახშირის მოპოვებაში წინ მიდის **ტყვარჩელქვანახშირის ტრესტი** (ტრესტის მმართველი ა. დათუაშვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის მდივანი კ. ჩაგუნავა, სტალინის სახელობის შახტის პარტორგანიზაციის მდივანი ა. ცაავა, ქვანახშირის ძრეწველობის მუშათა კავშირის რაიკომის თავმჯდომარე ი. ლეშჩენკო), რომელმაც ქვანახშირის მოპოვების გეგმა თებერვალში შეასრულა 100,7 პროცენტით, ხოლო მარტში — 102,1 პროცენტით. ამგვარად ტყვარჩელქვანახშირის ტრესტი მეორე თვეა ზედიზედ ასრულებს ქვანახშირის მოპოვების გეგმას. ეს მოწმობს ტრესტის მუშაობის გაუმჯობესებას.

მიუხედავად ამისა, საერთოდ მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა ქვანახშირის მოპოვების დარგში ტყვარჩელელებმა შეასრულეს მხოლოდ 91,5 პროცენტით, ხოლო მოსამზადებელი სამუშაოებისა — 83,3 პროცენტით. მოსამზადებელ სამუშაოთა ჩამორჩენა ტრესტის ხელმძღვანელობისა და პარტიულ ორგანიზაციას ავალებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ გადამწყვეტ უბანს, რაზედაც დამოკიდებულია ქვანახშირის მოპოვების შემდგომი ზრდა.

მარტში და მთელ პირველ კვარტალში საუკეთესო მუშაობით თავი ისახელეს ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის შემძღვმა უბნებმა: მეოთხე უბანმა (უბნის უფროსი ი. ავეზოვი) — კვარტალური გეგმა შეასრულა 100,7 პროცენტით, ხოლო გათხრის გეგმა 108,8 პროცენტით; პირველმა უბანმა (უბნის უფროსი მ. აგუმავა)— მოპოვების გეგმა შეასრულა 104,2 პროცენტით, გათხრის გეგმა 141,2 პროცენტით; მეორე უბანმა (უბნის უფროსი ი. მალეკეკი)—მოპოვების გეგმა შეასრულა 119 პროცენტით, ხოლო გათხრისა მხოლოდ 90 პროცენტით.

მარტში და მთელ პირველ კვარტალში ყველას გაასწრეს ამხ. ჩერკაშინის, ბესარაბის, ტარასოვის, სპიჩაკის და ვორონინის მნგრეველთა ბრიგადებმა. შრომის ნაყოფიერების მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს მნგრეველმა სკლეროვმა—გეგმა შეასრულა 213 პროცენტით, მბურღავმა ზვერევიჩმა — გეგმა შეასრულა 276 პროცენტით, ლავის მომამზადებელმა მოროზოვმა — გეგმა შეასრულა 316 პროცენტით, მნგრეველმა ზინჩენკომ — გეგმა შეასრულა 311 პროცენტით და საუკეთესო მანქანის მემანქანის თანაშემწემ ნარმანიამ — გეგმა შეასრულა 222 პროცენტით.

ტყიბულქვანახშირის ტრესტმა (ტრესტის მმართველი ა. ვარდიშვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი ე. ჯვებენავა, ქვანახშირის მრეწველობის მუშათა კავშირის რაიკომის თავმჯდომარე ა. სოფრომაძე) მარტში და პირველ კვარტალში ქვანახშირის მოპოვებისა და შახტების გათხრის გეგმა ვერ შეასრულა. ქვანახშირის მოპოვების კვარტალური გეგმა შესრულებულია მხოლოდ 90,5 პროცენტით, ხოლო გათხრისა— 58,5 პროცენტით.

ეს ჩამორჩენა მით უფრო დაუშვებელია, რომ ტრესტს ყველა საშუალება გააჩნდა გეგმის შესრულებისათვის. ამას მოწმობენ ტყიბულქვანახშირის მოწინავე უბნების მაჩვენებლები: სტალინის სახელობის შახტის პირველმა უბანმა (უბნის უფროსი ამხ. შ. შოთაძე) ქვანახშირის მოპოვების კვარტალური გეგმა შეასრულა 115,7 პროცენტით, ლენინის სახელობის შახტის მეხუთე უბანმა (უბნის უფროსი გ. ფანრულაძე) — 111,7 პროცენტით, სტალინის სახელობის შახტის მეორე უბანმა (უბნის უფროსი ს. გაბრიაძე) — 101,5 პროცენტით და ა. შ. საწარმოო დავალებათა სანმუშოდ შესრულების მაგალითები გვიჩვენეს ტყიბულქვანახშირის ტრესტის მოწინავე ადამიანებმა — მნგრეველებმა — თოდიძემ, ქათამაძემ, კრასნოგოლოველმა, ლაფერაძემ, ნანიკაშვილმა, მიბიგეებმა — არსენიძემ, ყიფშიძემ, ილიუშინმა, დ. ტრუფანოვმა, პიატეცკიმ, გამომგონებელმა ლოპატინმა და სხვა სტახანოველებმა.

ამიერიდან ტყიბულისა და ტყვარჩელის მაღაროელთა სოციალისტური შეჯიბრების შედეგები ყოველთვიურად იქნება შეჯამებული. ტყიბულქვანახშირისა და ტყვარჩელქვანახშირის ტრესტებს მოეპოვებათ ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რომ გადაჭარბებით შეასრულონ ქვანახშირის მოპოვების აპრილის გეგმა და საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრებაში მიაღწიონ ახალ გამარჯვებებს.

ხალხთა სტალინური მეგობრობა ურღვევია

განახლებულია თბილისის და ნიჟნედნეპროვსკის დეპოელთა შეჯიბრება

10 აპრილს, თბილისის საორთქლმავლო დეპოში შესდგა მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა ხალხმრავალი მიტინგი, მიძღვნილი უკრაინის სსრ სტალინის რკინიგზის ნიჟნედნეპროვსკის კვანძის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივის მეშრომეთვისადმი. მიტინგი გახსნა დეპოს პარტბიუროს მდივანმა ამხ. ი. მგელაძემ. მან აღნიშნა, რომ თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივს ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება ჰქონდა უკრაინის სტალინის რკინიგზის ნიჟნედნეპროვსკის კვანძის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივთან. ეს შეჯიბრება შეწყდა გერმანელ ფაშისტთა მიერ უკრაინის დროებით დაპყრობის შედეგად. ამჟამად ნიჟნედნეპროვსკელები წინადადებას იძლევიან განახლებულ იქნას ეს ტრადიციული შეჯიბრება ორივე მოძმე რესპუბლიკის ამ მოწინავე დეპოებს შორის.

მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა საგამრეცხაო საამქროს პარტორგანიზაციის მდივანმა, კომკავშირულ-ფრონტული ბრიგადის ბრიგადირმა ამხ. დ. ქავშანიძემ.

— ჩემმა ბრიგადამ,—თქვა მან,—ომის დღეებში გეგმის გადამეტებით გამოუშვა 227 ორთქლმავალი. ბრიგადა საქმით ამართლებს თავის საპატიო სახელს. უკრაინელი ძმების წარილის საასასუოდ საგამრეცხაო საამქროს კოლექტივი კისრულობს შეაგროვოს და გაუგზავნოს ნიჟნედნეპროვსკელ რკინიგზელებს 100 ცალი სხვადასხვა ხელსაწყო იარაღი.

დეპოს სტახანოველმა ზეინკალმა ამხ. ბ. ტორაშვილმა მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა:

— გული მწუხარებით გვეუბნებოდა, როცა ვიგებდით საყვარელ ჩვენ მოძმე რესპუბლიკაში—უკრაინაში გერმანელ ბარბაროსთა თარეშის ამბებს. ძლევამოსილი წითელი არმია შორს, დასავლეთისაკენ მიერეკება ჰიტლერელ ურჯულოებს და უკრაინელ ჩვენს ძმებს კვლავ აქვთ საშუალება განაახლონ ჩვენთან სოციალისტური შეჯიბრება. სულით და გულით მივესალმები უკრაინელ თანამოძმეებთან ტრადიციული შეჯიბრების განახლებას.

ამხ. ტორაშვილმა იკისრა სამუშაოდან თავისუფალ დროს შეაკეთოს 2 ცალი ინექტორი ნიჟნედნეპროვსკელებისათვის გასაგზავნად.

ლენინელმა მემანქანემ ი. ლიტვინოვმა ვეორთქლმავლეთა გუნდების სახელით ვალდებულება იკისრა მოძმე რკინიგზელთა დასახმარებლად პირველ მაისამდე გაამზადონ 1 ორთქლმავალი.

დეპოს კოლექტივმა, რომელმაც ერთსულოვნად მოიწონა უკრაინელ რკინიგზელებთან ტრადიციული შეჯიბრების განახლება, ვალდებულება იკისრა პირველი მაისისათვის ნიჟნედნეპროვსკელებს გაუგზავნოს ერთი ვაგონი სათადარიგო ნაწილები და იარაღები. დეპოელებმა პირობა დასდეს, რომ აპრილში გეგმის გადამეტებით მიმდინარე რიმონტიდან გამოუშვან 18 ორთქლმავალი, აწევითი რემონტიდან—2 ორთქლმავალი, დაიყვანონ ნორმამდე ორთქლმავლის მოკლედნა სარემონტოდ. გაზარდონ შრომის ნაყოფიერება.

მიტინგი, სადაც ერთსულოვნად მიიღეს ნიჟნედნეპროვსკელ თანამოძმეთათვის გასაგზავნი წერილის ტექსტი, გადაიქცა ხალხთა სტალინური მეგობრობის, უკრაინისა და საქართველოს რკინიგზელთა შრომითი თავდადების მკაფიო დემონსტრაციად.

დ. გარმაშისა და მ. ზაგორსკაიას ბრიგადებმა გაიმარჯვეს ფრაქციონერ ქალთა საკავშირო შეჯიბრებაში

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მიწათმოქმედებისა და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატებმა შეჯამეს ტრაქტორისტი ქალებისა და ქალთა სატრაქტორო ბრიგადების სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1943 წლის შედეგები.

მტს-ების ქალთა სატრაქტორო ბრიგადების შეჯიბრებაში კვლავ გაიმარჯვა რიაზანის ოლქის, რიბნოეს მტს-ის დარია გარმაშის ბრიგადამ, რომელმაც გასულ წელს სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა 511 პროცენტით შეასრულა. ბრიგადას მიეკუთვნა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის პირველი პრემია.

საბჭოთა მეურნეობების ქალთა სატრაქტორო ბრიგადების შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა ჩიტის ოლქის, ვოროშილოვის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მ. ზაგორსკაიას ბრიგადამ, რომელმაც სატრაქტორო საშუაოთა წლიური გეგმა 525 პროცენტით შეასრულა. ბრიგადას მიეკუთვნა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის პირველი პრემია.

შეჯიბრებაში მეორე ადგილები ქალთა 12-მა სატრაქტორო ბრიგადამ დაიკავა. ისინი დაჯილდოებული არიან საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებით და მათ გადაეცა სახალხო კომისარიატების მეორე პრემიები.

მუშაობაში კარგი მაჩვენებლებისათვის საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებით დაჯილდოებულია ქალთა 68 სატრაქტორო ბრიგადა და 255 ტრაქტორისტი ქალი. (საკდესი).

სასახელო შრომის დღიური

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

მოწინავეთა გამოცდილება—ყველა მუშას!

თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში სტახანოველები საპირველმაისოდ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან. კარგად მუშაობს მედალოსანი ნ. ბაღანაშვილი, რომელიც ოთხ დაზგას უშვებს მომსახურებას. სტახანოველი მქსელავი ე. კოპალიანი გეგმებს ყოველდღიურად 150 პროცენტით ასრულებს. ასევე წარმატებით მუშაობენ და საწარმოო გეგმებს ორმაგი გადაჭარბებით ანაღდებენ სტახანოველები მ. ბადლიძე, ო. ფალავა, მ. ლაპიაშვილი, ვ. კარიევა, ე. ტატულიევა, გ. სარქისიანი და ვ. ბოგომოლოვა.

ფაბრიკის ეს მოწინავე ადამიანები სამუშაოს დამთავრების შემდეგ რამდენიმე ხნით რჩებიან საწარმოში, ამოწმებენ და წესრიგში მოჰყავთ საქსოვი დაზგები, ასწორებენ ქსელს, ღებულობენ ყველა საჭირო წინასწარ ღონისძიებებს იმისათვის, რომ შემდგომი მუშაობა არ შეუფერხდეთ. ამ გზით მიღწეულია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და შრომის ნაყოფიერების ზრდა.

ფაბრიკის სამეურნეო, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანაა ფართოდ დანერგონ ფაბრიკაში მოწინავე მუშების საწარმოო გამოცდილება და ამით უზრუნველყონ საპირველმაისოდ ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება.

პრემიები კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადებს

ჭიათურა. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ჭიათურის მარგანეცის მაღაროებში მომუშავე კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადებს მარტში მაღალნაყოფიერი მუშაობისთვის დაურიგდათ ფულადი პრემიები. პირველი პრემია — 5.000 მანეთი მიიღო ლენინის სახელობის მაღაროს პირველი უბნის კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომელსაც ამხ. გ. ჯიშკარიანი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ მარგანეცის გამოღების მარტის გეგმა შეასრულა 143 პროცენტით, შრომის ნაყოფიერებისა — 134,1 პროცენტით.

მეორე პრემია (3.000 მანეთი) მიიღო სტალინის სახელობის მაღაროს იმ ბრიგადამ, რომელსაც ამხ. იპ. სივსივაძე ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ გადაჭარბებით შეასრულა მარგანეცის გამოღების გეგმა, ხოლო შრომის ნაყოფიერება 37 პროცენტით გაადიდა.

მესამე პრემია მიიღო ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კომკავშირულმა ბრიგადამ ამხ. ტ. მირონტაძის ხელმძღვანელობით. ამ ბრიგადის კოლექტივმა მარგანეცის გამოღების გეგმა შეასრულა 118,1 პროცენტით, შრომის ნაყოფიერებისა — 114 პროცენტით.

წარმატებით იმუშავეს აგრეთვე ამხ. გ. გაფრინდაშვილის, ი. მირონტაძის და ა. გურულის ბრიგადებმა.

აპრილში ამ კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადებმა კიდევ უფრო გააძლიერეს მუშაობა. საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ისინი ახალ საწარმოო გამარჯვებებს აღწევენ. მარგანეცის გამოღების ყოველდღიური გეგმები 120-140 პროცენტით სრულდება.

ჯ. ჭიოკაძე

საღლესასნაულო საწარმოო საჩუქრები

თბილისის მაცივრის კომბინატის კოლექტივმა გადასწყვიტა პირველი მაისისათვის საშობლოსა და წითელ არმიას მიუძღვნას ახალი საწარმოო საჩუქრები: აპრილის დავალება შეასრულოს ვადაზე ადრე, ტკბილეულობის მიღების გეგმა — 5 პროცენტის გადამეტებით, შრომის ნაყოფიერება გაზარდოს 5 პროცენტით და გეგმის გადამეტებით გამოუშვას ყველა იმ სახის პროდუქცია, რომელსაც კომბინატში ამზადებენ.

მაცივრის კომბინატის კოლექტივმა შეჯიბრებაში გამოიწვია ფოთის მაცივრისა და თბილისის ხორცკომბინატის კოლექტივები.

მრეწველობის მუშების დახმარება საკოლმეურნეო სოფელს

მოდის კრისტალური შაბიამანი

თბილისის ქიმიური კომბინატის კოლექტივმა გადასწყვიტა საქართველოს მევენახეებისათვის დაამზადოს შაბიამანი. ეს ინიციატივა მოწონებულ იქნა. ამ ერთი თვის წინათ კომბინატში დაიწყეს შაბიამნის დამამზადებელი საწარმოს მოწყობა.

კომბინატის მთელი კოლექტივის ენერგიული მუშაობის შედეგად შაბიამნის საწარმოს მოწყობა დამთავრებულ იქნა 25 მარტს. საწარმოს მთელი დანადგარების, ე. წ. რეაქტორების, კრისტალიზატორების, ქვაბებისა და სხვა მოწყობილობისათვის გამოყენებულ იქნა ადგილობრივი რესურსები.

1 აპრილიდან კომბინატში უკვე შეუდგნენ კრისტალური შაბიამნის გამოშვებას. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას შაბიამნის გამოშვების გეგმის გადაჭარბებით შესრულება, ამჟამად ახორციელებენ რამდენიმე ახალ რაციონალიზატორულ წინადადებას: კრისტალიზაციის პროცესის დასაჩქარებლად აწყობენ განსაკუთრებული სისტემის ვენტილაციას, ქვაბებში, სადაც კრისტალიზაცია უნდა მოხდეს, აწყობენ წყლით ქვაბის გამაგრილებელ სპირალურ მილებს, სდგამენ სიმყარისგამძლე ტუმბოს და სხვ.

ეს ახალი რაციონალიზატორული ღონისძიებები განხორციელებულ იქნება უახლოეს დღეებში და ამით შაბიამნის საწარმოს წარმადობა ერთი-ორად გაიზრდება.

სოფლისათვის 3.490 დეტალი დაამზადეს

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარებაში საკოლმეურნეო სოფლის დასახმარებლად დამზადა ტრაქტორებისა და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღების ნაწილები 3.490 ცალის რაოდენობით. ეს ნაწილები და ტრაქტორების სარემონტოდ საჭირო დეტალები გაგზავნილია დანიშნულებისამებრ და მათ უკვე იყენებენ მიმდინარე რემონტისათვის.

საკოლმეურნეო სოფლისათვის დასამარების საქმეში კარგი მაგალითები გვიჩვენეს მექანიკური საამქროს (უფროსი ა. გრიგორიევი) სტახანოველებმა ა. წულუკიძემ, მ. გასიშვილმა, ა. ბაღდასარიანმა და ა. გალუსტოვმა, რომლებიც ტრაქტორებისა და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების სარემონტოდ საჭირო ნაწილებს სამუშაოდან თავისუფალ საათებში ამზადებდნენ და ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს 300-350 პროცენტით ასრულებდნენ.

შ. ბოჭაშვა

18 საკონსერვო ქარხნის აღდგენა

სწრაფი ტემპებით ხდება სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საკონსერვო ქარხნების აღდგენა გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში. უკვე მუშაობს 18 საწარმო კრასნოდარის მხარეში, როსტოვის, სტალინგრადისა და სხვა ოლქებში. წითელ არმიას მათ მისცეს ხილის, ბოსტნეულისა და ხორცის ათეული მილიონობით ქილა კონსერვი.

საკონსერვო მრეწველობის საწარმოები გამოპყოფენ ზედმეტ მოწყობილობას — დაზგებს, აპარატურას, მანქანათა დეტალებს ალდგენენ ქარხნებისათვის. ალმა-ათის კომბინატი გზავნის ერთ-ერთ განთავისუფლებულ რაიონში სამანქანო და ელექტრომოწყობილობის კომპლექტს იმ ქარხნისათვის, რომლის წლიური ნაყოფიერება 15 მილიონ ქილა კონსერვს უდრის. გამოჰყოფენ მოწყობილობას სხვა საწარმოებიც. ამ მოწყობილობას გზავნიან კიევში, ჩერკასში, მელიტოპოლში.

ხდება საკონსერვო წარმოების ნედლეულის ბაზის აღდგენა. აჟამად ტარდება თესვა უკრაინის რესპუბლიკის, როსტოვისა და სტალინგრადის ოლქების 24 საბჭოთა მეურნეობაში. (საკდესი).



თბილისის საწარმოთა მოწინავე სტახანოველები, საპირველმაისო სოცშეჯიბრების მონაწილენი (მარცხნიდან მარჯვნივ): მეშტამპე ბ. ხოშტარია (ქარხანა, რომლის დირექტორი არის ამხ. კანკავა), ხარატი ს. სანაძე (საორთქლმავლო დეპო) და ამომხვევი თ. ბერიტაშვილი (აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა).

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ალ. ხუჯაძე

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანი.

მივიზიდოთ, შევინარჩუნოთ და აღვზარდოთ მუშათა ახალი კადრები

საომარ ომის განმავლობაში ჩვენს მრეწველობაში დიდი ცვლილებები მოხდა. შეიცვალა არა მარტო საწარმოთა მუშაობის ხასიათი, არამედ მნიშვნელოვნად შეიცვალა საწარმოთა მუშების შემადგენლობაც. წითელი არმიის რიგებში წასულთა ადგილები მანქანებთან, დაზგებთან და დანადგარებთან დაიკავეს საწარმოებში ახალგაზრდა მუშებმა, ადამიანებმა, ოჯახის დედაკაცებმა, ბავშვებმა.

ეს ცვლილებანი ბევრ საწარმოში ისეთ ხასიათს ატარებენ, რომ ადგილობრივ ორგანიზაციებს, საწარმოთა ადმინისტრაციებს, ფაბრიკა-ქარხნების, მაღაროებისა, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, ინჟინერ-ტექნიკოსთა, ექიმთა, ინტელიგენციის ფართო მასებს, ყველა ადგილობრივ ორგანიზაციას, ყველა ადამიანს, ვინც ეკუთვნის ეროვნულ ეკონომიკას, ეროვნულ ეკონომიკურ ინსტიტუტებს, ეროვნულ ეკონომიკურ ორგანიზაციებს, ეროვნულ ეკონომიკურ ადამიანებს, ეროვნულ ეკონომიკურ ადგილ

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

გამარჯვების დროშა

> წითელი არმიის ძლევამოსილი შეტევა შესაძლებელი გახდა ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში საბჭოთა ადამიანების ახალი შრომითი საგმირო საქმეების მეოხებით.
>
> **ი. სტალინი**

მესამე უხვი სამხედრო მოსავლის მიღებისათვის მახარაძის რაიონს საქართველოს ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა.

შრომის, ნატანების, გურიანთის და მერიის კოლექტივები ამ დიდი გამარჯვების ბურჯები იყვნენ.

სოფელ შრომას კარგად იცნობენ როგორც საქართველოს, ისე მოძმე რესპუბლიკების კოლმეურნენი. იცნობენ, როგორც ერთ-ერთ შესანიშნავ კოლმეურნეობას საბჭოთა კავშირში, და როგორც მოთავეს ქართველი და უკრაინელი კოლმეურნის გულითადი მეგობრობისა.

შრომელებსა და გენიჩესკელებს შორის დადებული სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება მალე გადაიქცა ხალხთა სტალინური მეგობრობის დღესასწაულად. კოლმეურნე გლეხების წამოწყებას მხარი დაუჭირეს ქარხნებმა, მეცნიერებმა, ხელოვნების მუშაკებმა.

არა ერთხელ დამსხდარან მეგობრულ სუფრასთან შრომელები დ გენიჩესკელები,—და როდესაც ერთმანეთს დაშორდებოდნენ, უკრაინელი მოუთმენლად ელოდა ქართველის წერილს; ქართველმა იცოდა, რა ხდებოდა მისი ძმადნაფიცის ოჯახსა თუ ბრიგადაში.

ისინი ცდილობდნენ რაც შეიძლება უკეთესად დახმარებოდნენ ურთიერთს.

გენიჩესკელი კოლმეურნე განთქმული იყო, როგორც მესაქონლე და ცხენთმომშენებელი. ამიტომ სოფელ შრომაში ძალე გაჩნდა საუკეთესო ჯიშის ბუღა და ნახევარსისხლა ულაყი.

სამაგიეროდ შრომელი, ხეხილის მყნობის უბადლო ოსტატი, — ნერგის გახარების საიდუმლოებას ასწავლიდა გენიჩესკელს.

გურულმა და ზაპოროჟიელმა ქალიშვილებმა ბევრი ლამაზი სიმღერა უძღვნეს ამ ლამაზ მეგობრობას.

ამ სიმღერების ძლიერი სული ვერ ჩაჭკლა გერმანელმა დამპყრობმა. შავბნელმა ძალამ ვერ გათიშა მათი მეგობრობა.

განა შეიძლება ციხარტყელის ფერების დაშორება! ისინიც ასევე განუყრელნი იყვნენ ჭირსა და ლხინში.

და როდესაც ქალაქი გენიჩესკი ჰიტლერის „ახალი წესრიგის“ უღელქვეშ მოექცა, შრომელებმა ძმური დახმარების ხელი გაუწოდეს უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახებს. ზოგი შეეხიზნეს, ზოგსაც მდიდარი საჩუქრები გაუგზავნეს. არა ერთი და ორი დაჭრილი ძმადნაფიცი სოფელში ჩამოიყვანეს; როგორც საკუთარ ოჯახიშვილს მიხედეს და მოვლა არ მოაკლეს და მერე ისევ გზა დაულოცეს მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად.

როდესაც წითელმა არმიამ გენიჩესკის მიწა-წყალზე გერმანელთა სახსენებელი ამოაგდო, შრომელებმა ისევ მხურვალედ მიულოცეს ერთმანეთს ეს ბედნიერი დღე, თითქოს ომიდან საკუთარი შვილები დაბრუნებოდნენ.

ისინი ეხმარებიან მეგობრებს, რომ წელში გამართონ მტრისაგან დარბეული სოფელი. ეხლახან გაუგზავნეს რვა ათასი კილო სიმინდი, ცხენები, ხარები, ღორები, დიდძალი ტანისამოსი და საოჯახო ნივთები, ღვინო და არაყი.

„ახლო მომავალში კიდევ მოგაშველებთ სურსათს და მუშა საქონელსო“,—სწერენ ისინი მშობლიურ მინდვრებზე დაბრუნებულ გენიჩესკელებს.

იციან შრომელებმა მეგობრების გატანა გაჭირვებაში.

შარშან შრომელებმა ერთი მილიონი მანეთი შეაგროვეს ტანკების ასაგებად და სტალინს სთხოვეს გენიჩესკელებთან მეგობრობის აღსანიშნავად ამ ტანკების კოლონას სახელად დარქმეოდა „უკრაინის განთავისუფლებისათვის“.

სტალინმა მადლობა შემოუთვალა შრომელებს და თხოვნაც შეუსრულა.

სამამულო ომის ქარიშხლიან წლებში ხუთასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი გაგზავნა შრომამ სამშობლოს დასაცავად.

ბევრი გამოჩენილი მებაღე და მთესავი მოაკლდა სოფელს, ბევრი გამოცდილი თვალი და ხელი დროებით მოსწყდა შრომის ულამაზეს სერებსა და ჭალებს, მაგრამ შრომელების სახელოვანმა თავკაცმა, ორგზის ორდენოსანმა მიხაკო ორაგველიძემ ახლაც ისე უწინამძღვრა სოფელს, რომ შარშანდელი ჭირნახულის სათვალავმა მშვიდობიანი დროის ყველაზე ხვავიანი მოსავალიც დაჩრდილა.

ომის წინა წელში, როდესაც ყველანი შინ იყვნენ, შრომელებმა 400 ტონა ჩაის ფოთოლი და 800 ათასი ციტრუსი მოკრიფეს. როგორი თავდადებული მუშაობა იყო საჭირო, როგორი სიყვარული ქვეყნისადმი, რომ ახლა, ომის მძიმე დღეებში, ამ კოლექტივს 650 ტონა ჩაი და ორნახევარი მილიონი მანდარინი და ფორთოხალი ჩაებარებინა სახელმწიფოსათვის!

ამითაც აღარ დაკმაყოფილდნენ, გაკაფეს და ამოძირკვეს გაუვალი ბუჩქნარები, გასწმინდეს უყი ადგილები და საყანე მიწებს ასორმოცი ჰექტარი ფართობი მიუმატეს.

ფრონტი მოითხოვს — უნდა შესრულდეს! ეს ფიქრი ასულდგმულებდა შრომელ კოლმეურნეს, ამ ფიქრმა გაუმრავლა ძალღონე დიდსა და პატარას, ქალსა და მამაკაცს, და მიწაც ისეთი დამყოლი გახადეს, რომ შარშან ყველაზე მეტი გამოართვეს, ვიდრე ოდესმე.

ნატანების კოლმეურნეობაში ბევრმა ქალმა შარშან პირველად მოჭიდა ხელი თოხსა და ბარ-ფიწალს. ბევრი ღრმა მოხუცი ისევ მოეჭიდა კავის სახელურს და თითისხელა შვილიშვილი წინ გაიგდო ხარების გამძღოლად. ბევრი გამოუცდელი ხელი პირველად შეება შეუჩვეველ საქმეს.

ზოგი კიდეც ფიქრობდა, რომ ისინი ასე ერთბაშად ვერ შესძლებდნენ მრავალწლიანი ნარგავების მოვლას, მათი რთული აგროწესების შესწავლას, ვერ შეიძენდნენ იმ გეშსა და ალღოს, ურომლისოდ თვალი მუდამ ბრმა არის, ხელი—დაუქმებული.

ნატანებლების ხელმძღვანელმა ვასილ ჯაბუამ საომარი სული ჩაუდგა ახალბედა მუშების საქმიანობას.

კარგად მოწესრიგებულმა შრომამ სამხედრო ფიცის სიმტკიცე მისცა ნატანების კოლექტივს.

ყველგან და ყველაფერში მათ, როგორც დროშა, წინ მიუძღვებოდა ის ყოვლისშემძლე შეგნება, რომ ომში წასულთა გამარჯვებას შინ დარჩენილთა მარჯვენა სჭედდა.

ამ გაუტეხელმა ძალამ შარშან ხუთნახევარი მილიონი ციტრუსი და ასორმოცდაათი ათასი კილო ჩაის მშვენე ფოთოლი შემატა ქვეყანას... გემის გადამეტებით.

სამამულო ომის მღელვარე წლებმა ერთხელ კიდევ შეამოწმა საკოლმეურნეო წყობილების სიმტკიცე და სამუდამოდ დაუმტკიცა ქვეყანას, რა დაულეველი ძალა ბუდობს კოლექტიური შრომის სტალინურ წესდებაში.

* * *

სამი ერთმეორეზე უკეთესი ვაჟი გაზარდა შრომელმა კოლმეურნემ ივანე ჩხაიძემ.

უფროსი ვაჟიშვილი მიხეილი სანერგეს ბრიგადირი იყო.

სანერგე გულია პლანტაციის. მიხეილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ გულს ერთხელაც არ უღალატია შრომის ბაღებისათვის.

მიხეილის სანერგეედან გამოსულ მცენარეს კაცი სამდურავს ვერ ეტყოდა. ჩინებულმა მყნობელმა ყოველმხრივ შეისწავლა სუბტროპიკების ჭირვეული ბუნება და შრომელების დალოცვილ მიწას მრავალი ათასი ნერგი დაუძმობილა.

შუათანა და უმცროსი ვაჟი მამის ბრიგადაში მუშაობდნენ.

ქუდბედიანს ეძახდნენ ივანე ჩხაიძეს, რადგან კოლექტიური ცხოვრების სიკეთემ გულუხვად მოპირა მისი ოჯახი.

სოფელს ახარებდა მათი კარგი მამაშვილობა, ახარებდა მათი ნაქები პლანტაციები, ათასი ფერისა და სურნელების ქარიშხალში გახვეული.

როდესაც ვერაგი მტერი ჩვენი ქვეყნის ბედნიერებას დაემუქრა, ოთხივე მამაშვილი, ოთხი გურული ვაჟკაცი ერთად შემოწყო სტალინის საომარ დროშას. ისინი, როგორც ფიცის კაცები, წარბშეუხრელად შევიდნენ სამამულო ომის ქარცეცლში.

— შინ მხოლოდ ქალები დარჩნენ. დედა ანეტა და ორი უმცროსი ქალიშვილი. მარტოდ დარჩენილ ქალებს პირველად ძლიერ ეუცხოვათ, როდესაც ოჯახში კაცების ბრახუნა ნაბიჯი მისწყდა.

ისინი ხანდახან შებინდებამდე გასცქეროდნენ აგერ იმ დაღმართს, მაგრამ იქიდან აღარც ნაცნობი ხველება ისმოდა, აღარც დაღლილი მუშაკაცის ღიღინი.

თითქოს უცხო და უსანდომო ოჯახში მოხვდნენო— შუბლგაუხსნელად დაფარფატებდნენ დაცარიელებულ კარმიდამოში.

ძნელია, როდესაც ოთხი ვაჟკაცი ერთად გაიხუროვს ჭიშკარს.

მაგრამ საბჭოთა ადამიანის გულმა მალე ასწავლა დედას, მეუღლეს, დებსა და ქალიშვილებს, რა იყო საჭირო იმისათვის, რომ ომში წასულ შინაკაცს გამარჯვების გზაზე ევლო.

ქალებმა განაწილების პირველი მწარე ცრემლი მოიწმინდეს და საყვარელი ადამიანების პლანტაციებს მიაშურეს, რადგან იცოდნენ: ყოველი წამხდარი ბუჩქი, ყოველი დაკარგული ნაყოფი, ყოველი გაცდენილი მიწის ნაჭერი იმათ გაუძნელებდა მოსისხლე მტერთან ბრძოლას.

ასე სწამდა ივანე ჩხაიძის ქალიშვილს ეკატერინეს, რომელმაც მედალოსანი მამა შესცვალა და მისი ბრიგადის ხელმძღვანელობა იკისრა.

პირველად ეძნელა ქალიშვილს ომიანობის ვითარებაში გამრავლებული საქმე, მაგრამ სამშობლოს სიყვარული, მამის სახელის პატივისცემა ყველაფერს მოერია და ახალგაზრდა ბრიგადირი უხვი სამხედრო მოსავლის ოსტატი გახდა.

მალე ფრონტიდან მამის წერილი მოვიდა.

ამ წერილში ივანე ჩხაიძე ცოტას ლაპარაკობდა თავის თავზე, თავის სალაშქრო ცხოვრებაზე.

სადღაც სანგარში დაწერილ სტრიქონებში მხოლოდ ერთი გულისთქმა ისმოდა, ერთი წუხილი:

„როგორ მუშაობს ჩემი მეექვსე ბრიგადა, ვინ მეთაურობს, ვაი-თუ უჩემობა დაეტყოსო“.

როდესაც ჩხაიძეს აცნობეს, მეექვსე ბრიგადა შენს ქალიშვილს მივანდეთო, მან უმალვე მოსწერა ბრიგადირს: „შვილო, ეცადე, ბრიგადას არაფერი გაუჭირდეს! სახელიანი დავტოვე და სახელიანად შემინახეო“.

თანაც ურჩევდა, როგორი თადარიგი დაეჭირა, რომ ბრიგადას უკეთესად ემუშავნა.

ამ ამაღელვებელმა მიმოწერამ ნაყოფიც მალე გამოიღო: ჩხაიძის ქალმა არამც თუ შეუნარჩუნა მამის ბრიგადას ძველი კარგი სახელი... შარშან ბრიგადას პირველობაც მოუპოვა შრომის საბჭოში.

მისმა პლანტაციებმა 70 ტონა საუკეთესო ხარისხის ჩაის ფოთოლი მისცა ქვეყანას — გემის ასორმოცი პროცენტი.

ეკატერინეს არც დედამისი ჩამორჩა, შრომელები პატივისცემით იმეორებენ ანეტა ჩხაიძის სახელს. მისი გამრჯელი ხელი ისეთი სიყვარულით დასტრიალებდა ჩაის ხუჭუჭა ბუჩქებს, თითქოს შვილების ქოჩორს ეფერებაო. ორასი ღალიანი შრომადღე მანაც შესძინა სოფელს.

1942 წლის დამლევს ივანე ჩხაიძის უფროსი ვაჟი მიხეილი ფრონტიდან დაბრუნდა, იგი დაჭრილი იყო მხარში, ხელში და ფეხში.

ცოტა რომ მოკეთდა, მაშინვე თავისიანებს მიეშველა.

მიხაკო ორაგველიძეს გული არ ანებებდა, რომ ხელფეხდამავებული ჯარისკაცი სამუშაოდ გაეშვა, მაგრამ მიხეილმა თავისი დაიჩემა.

იგი ნაცადი ბრიგადირი იყო. მისი დახმარება წინ წასწევდა საქმეს.

ომგადახდილი ჯარისკაცი სათავეში ჩაუდგა ყველაზე ჩამორჩენილ—მეთერთმეტე ბრიგადას.

მიხეილმა იცოდა, რა და როგორ იყო საჭირო.

მცირე ხნის შემდეგ მისი ბრიგადა ყველაზე მოწინავე ბრიგადებს [illegible]ტოლდა.

წელიწადი შესრულდა, რაც იგი თავის საყვარელ საქმეს დაუბრუნდა, მაგრამ ამ მოკლე ხანშიც იმდენი ამაგი დასდო სოფელს, რომ მადლიერმა სამშობლომ ვაჟკაცური მკერდი შრომის წითელი დროშის ორდენით დაუმშვენა.

ასევე გულმოდგინედ მუშაობდნენ მერიის კოლმეურნეობაში ომიდან დაბრუნებული ძმები—ალექსანდრე, ჭიჭიკო და პავლე რუსიეშვილები.

ასე მუშაობდა ნატანებში ბატალიონის ყოფილი მეთაური, უფროსი ლეიტენანტი კარლო თავაძე.

ასე მუშაობდა გურიანთელი შოთა ტუღუში.

„ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცი ხალხის სინიდისად იქცა“, ლაპარაკობს სოფელი.

ვინ დაიშურებს ძალღონეს, ვინ არ გალომდება, როდესაც მკლავწართმეული ან ყავარჯენზე დაბჯენილი ნაომარი ვაჟკაცი აქაც საბრძოლო ადგილზე დამდგარა და ახლა აქედან ეხმარება მტერთან პირისპირ შებმულ თანამოლაშქრეს.

* * *

ნატანების კოლექტივის სიამაყეა ცნობილი ჩაის მკრეფავი ქალი ლიუდი ხურციძე.

ნატანებში პირველად მან შემოიღო სამ-განყოფილებიანი კალათა. ერთსადაიმავე დროს იგი ჰკრეფდა და კიდეეაც ახარისხებდა მწვანე ფოთოლს. კრეფის ასეთი წესი არც თუ ისე ადვილი იყო, მაგრამ დახელოვნებულმა ხურციძემ ერთიანად გაზარდა შრომადღის ბარაქა. დღეში ორას კილო ფოთოლს ჰკრეფდა და ვერცერთი მიზეზიანი მიმღები ნახელავს ვერ დაუწუნებდა.

ხურციძის კალათში კაცი ძვირად ნახავდა უვარგის ფოთოლს.

იგი ნამდვილი ჯადოქარია თავისი საქმისა. შარშან, დილიდან საღამომდე 2.496 კილო მწვანე ფოთოლი მოკრიფა და 127 შრომადღე გამოიმუშავა.

კრეფის სეზონის განმავლობაში მისმა ხვავიანმა კალათმა თოთხმეტი ათას ხუთასი კილო ფოთოლი შეაგროვა და რვაას თხუთმეტი შრომადღე ჩასწერა ხურციძის შრომის წიგნაკში.

ასე უპასუხა ხურციძის ქალმა ბელადის მოწოდებას, საბჭოთა ჯარების წინსვლას დასავლეთისაკენ.

ომიანობის წლებში მან გამოზარდა მოწინავე სტახანოველი ქალები: ლიდა გობრონიძე, ნადია გოგოტიშვილი, შურა კვაჭანტირაძე და ლუბა ბაქანიძე. არა ერთსა-და-ორ მოწაფეს გადასცა ხურციძემ თავისი პეპელა-თითების სისწრაფე და თვალის გაწაფულობა.

ასწავლიდა, თვალყურს ადევნებდა, უსწორებდა, რომ მკრეფავს არცერთი ზედმეტი მოძრაობა, არცერთი ხელმოცარული წუთი არა ჰქონოდა.

შარშან მისმა მოწაფემ ლიდა გობრონიძემ ერთ დღეში 1.290 კილო ჩაი მოკრიფა. ეს იყო არა მარტო მოწაფისა და მასწავლებლის გამარჯვება — მთელი კოლექტივის გამარჯვებაც იყო, რადგან იმ ფიცხელ დღეებში ვასო ჯაბუას ასეთი მკრეფავი თითის წონა ოქროდ ეღირდა.

საკოლმეურნეო წყობილებისადმი ერთგულების იშვიათი მაგალითი გვიჩვენა ამავე კოლექტივის უძველესმა წევრმა—კარგმა ქართველმა დედამ და კარგმა კოლმეურნემ მარო ბოლქვაძემ. მან თავისი კარგი ქალობა და მადლიანი მარჯვენა დაუღალავად ამსახურა კოლექტივის გამარჯვებას.

მარომ პირველმა დაიწყო ნატანებში ჩაის ყოველდღიური კრეფა, რომ ფოთლის გადამწიფების საშიშროება თავიდან აეცილებინა.

კვალში რომ ჩადგება, ხელებში ცეცხლი ეკიდება კრეფის უზადო ოსტატს.

მუშაობს სწრაფად, შეუფერხებლად და ისე რიტმულად, თითქოს მისი თითები რომელიღაც კარგად გაწყობილი მანქანის ნაწილები იყოს.

მიუხედავად ასეთი განსაცვიფრებელი სისწრაფისა, მაროს ბუჩქებს მოკრეფის შემდეგ კაცი ვერ უპოვნის რაიმე დაუდევრობის ან უსულგულო მოპყრობის ნიშანს. არცერთი დაზიანებული ტოტი, არცერთი შეწუხებული ყლორტი.

კოლექტიური შრომის სიკეთემ ფეხზე წამოაყენა მაროს ოჯახი. ამ სიკეთემ შეაძლებინა სამი ვაჟიშვილის დედას, შვილები ისე გაეზარდა, გული არაფერზე დაწყვეტოდა.

როდესაც ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალზე ცოფიანი ზგელკაცი შემოვარდა, დედამ სამივე ვაჟი დალოცა და ბრძოლაში გაგზავნა—ტანკისტი გიორგი, არტილერისტი ვლასი და ქვეითი ჯარისკაცი ვანო.

პირველ ხანებში შვილების ამბავმა დაიგვიანა.

ბევრმა თეთრად გათენებულმა ღამემ ბევრი თეთრი შემატა დედას, თვალები ლოდინში ჩაუღამა, მაგრამ ამ უწმიდესმა დარდმა უფრო ძლიერი გრძნობა წარმოშვა — სიძულვილი, გაუნელებელი სიძულვილი, რომელიც გულს ისე აწრთობს და ამაგრებს, როგორც ცეცხლი ფოლადს. სიძულვილი მისდამი, რომელსაც ახლა უხსენებელს არქმევენ ჩვენი მოხუცი ქალები.

ამ გრძნობას არ შეუძლია გულხელდაკრეფილი ამყოფოს ადამიანი, და მაროც გაჰყვა სიძულვილის გულისთქმას.

და აგერ, მისი შრომაც ადიდდა, გამრავლდა, თითქოს შვილები ისევ მხარში ამოუდგნენო.

შარშან, როდესაც ნატანების კოლექტივი გაცხარებული იბრძოდა პირველობისათვის, მარო ბოლქვაძე, როგორც წესი, დღეში ოთხი კაცის ნორმას ასრულებდა.

—პირველად მეტსაც ვაკეთებდი, მაგრამ ფრონტიდან ვაჟი ჩამომივიდა. დაჭრილი იყო, ავადმყოფი... მეც მივხედე, მოვაკეთე და ისევ დავუბრუნე საქვეყნო საქმეს! — გვითხრა მან და თვალებში იმდენი სითბო ჩაუდგა, თითქოს სადღაც, აი იმ დათოვილი მთების გადაღმა შვილები დაინახა.

ომში წასული ვაჟკაცები — ბრიგადირები, მებაღეები, მყნობელები, მწყემსები, მხვნელები ერთი წამითაც არ ივიწყებენ იმ ადამიანებს, რომელთა გმირული შრომა მათი მარჯვენის ძალა იყო და მუდამ იქნება, სანამ ჩვენს ქვეყანაში ერთი შეიარაღებული გერმანელი მაინც დადის.

მათი ძლიერი სული აქაც სწვდება, ამ აყვავებულ სერებს და მინდვრებს, და თითქოს ისინი კვლავ თავკაცობენ სოფელში, კვლავ განაგებენ მიწის გულისძგერას.

დნეპრის ნაპირზე დაჭრილი გურიანთელი ჭაბუკი შოთა კვაჭანტირაძე დედას სწერდა: „მეორედ დავიჭერ, მაგრამ ჩემზე არ იდარდო, მალე ისევ ფეხზე დავდგები და იმათ ოხტში კიდევ მოვალ! მხოლოდ თქვენ კარგად იმუშავეთ! რაც უფრო კარგად იმუშავებთ, ჩვენც უფრო მალე დაგიბრუნდებით“.

ამ ოქროს სიტყვებმა თითქოს ახალგაზრდობა დაუბრუნა დედას. შვილიც და ქმარიც ფრონტზე ჰყავდა, მაგრამ ოჯახში დამარტოხელებული ქალი ოჯახსაც გაუძღვა და სოფელსაც ორას სამოცდათერთმეტი ალალი შრომადღე შემატა, რადგან სჯეროდა კარგი სამხედრო მოსავალი კარგი ბრძოლის მოგებას ნიშნავდა.

შეუძლებელია კაცმა აუღელვებლად წაიკითხოს სახელგანთქმული ქართველი სნაიპერის, უფროს სერჟანტ ვასილ კვაჭანტირაძის წერილები, ცოლისადმი და მეგობრებისადმი გამოგზავნილი.

დიდი მამულიშვილის გულისცემა ისმის მისი წერილის ყოველ სტრიქონში.

ომამდე იგი ბრიგადირი იყო. სროლის ხელოვნებაც შეისწავლა და 1938 წელს პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს მსროლელთა შეჯიბრებაში.

1942-43 წლებში გურიანთელმა კოლმეურნემ მზე დაუბნელა ორას ორმოცდათექვსმეტ ჰიტლერელ ყაჩაღს.

საფრონტო გაზეთის ფურცლებზე ხშირად ჩნდება მისი მოღიმარე პირისახე, მისი ვაჟკაცური მკერდი, რომელსაც ამშვენებს წითელი დროშის ორდენი, წითელი ვარსკვლავის ორდენი და მედალი „მამაცობისათვის“.

ერთ-ერთ წერილში სახელოვანმა სნაიპერმა თავის მეუღლეს ვერა კვაჭანტირაძეს მოსწერა: „მე აქ არ შევარცხვინე ჩემი კოლმეურნეობა! ახლა შენ იცოდე, მანდ როგორ მასახელებ“.

ასახელა კიდეეაც.

ხუთი შვილის დედამ (ყველაზე უფროსი იმდენი წლისაც არ არის, რამდენი თითიც აქვს ორივე ხელზე) მალე გაითქვა სახელი როგორც სამაგალითო სტახანოველმა. თოხშიც გავიდა, ბუჩქნარიც გაკაფა, ბარსაც მოეჭიდა და, რასაც ხელი მოჰკიდა, ყველაფერს ვაჟკაცურად უპატრონა.

და ახლა მისი სამასი შრომადღე იმავე საქმეს აკეთებს, რასაც აკეთებს ვასილის უმტყუნო თოფი.

ამავე სოფელში ცხოვრობს მოხუცი ქალი ელისპირ ჭეიშვილი. მისი ვაჟი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

ვასილ კვაჭანტირაძის ხსენებაზე მწუხარე დედის თვალებს სხივი ემატება, იგი ლოცავს სნაიპერის მარჯვენას, ჩემი შვილის სისხლი მტერს არ შეარჩენაო.

ახლა მოხუცი დედობას უწევს შვილის ოფლით სულჩადგმულ მიწას.

რა თქმა უნდა, მარტო სურვილი და მონდომება როდი კმაროდა, რომ მოხუცი ელისპირის გარჯას ამდენი მადლი და სიკეთე მოჰყოლოდა.

და თუ შარშან გურულმა ქალებმა მათი ღირსებისა და პატიოსნების დასაცავად წასულ მეომრებს არაფერი მოაკლეს, ეგ, უპირველეს ყოვლისა, იმ თადარიგს და წესრიგს უნდა მიეწეროს, ომის გამოცხადების დღიდანვე რომ დამკვიდრდა ნატანების, შრომის, გურიანთის და მერიის კოლექტივებში.

დაკვირვებულმა და გამოცდილმა ხელმძღვანელებმა ვასილ ჯაბუამ, მიხაკო ორაგველიძემ, ტიფო მიქატაძემ და აკაკი მალაზონიამ ყველაფერი იღონეს, რომ ქალთა შრომას მეტი სარბიელი მისცემოდა.

არა მარტო ყოველმხრივ უზრუნველყოფილი საბავშვო ბაგები და ბაღები მიაშველეს წვრილშვილიან ოჯახებს, არა მარტო აგროწესები შეასწავლეს გამოუცდელ მუშას...

ისინი უფრო გულხმიერად მოეკიდნენ საქმეს. თვითეულ ქალსა და მოზარდს, მათი ცოდნისა და შეძლების გათვალისწინების შემდეგ, ისეთი სამუშაო ადგილი მიუჩინეს, სადაც მათი შრომა უფრო ხვავიანი იქნებოდა. რგოლებში ხალხიც ისე შეარჩიეს, რომ გაწაფულ მეპლანტაციეს მუდამ თვალქვეშ ჰყოლოდა ამა-თუ-იმ საქმის ახალბედა მუშახელი. ამიტომ ბრიგადირმა ყოველდღიურად იცოდა—ვინ რატომ ჩამორჩებოდა, ვის რა აბრკოლებდა და დროულად ეხმარებოდა ჩამორჩენილს. ასეთი მზრუნველობის შედეგი იყო, რომ გურიანთელმა ქალებმა, ნინა ჭეიშვილმა და მედალოსანმა ანეტა ქათამაძემ, ან კიდევ მერიის კოლმეურნეობის წევრებმა დარიკო ვასაძემ, მარო ვასაძემ და გოგოლა კეჭალმაძემ, შრომელებმა—ზინა ნადირაშვილმა, ნინა გოგოძემ და ტერეზა მეგრელიშვილმა ომის დროინდელი სტახანოველების სახელი მოიპოვეს.

ჩვენი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს ქართველი ქალების დიდებულ შრომას; არ დაივიწყებს მას, რომელსაც ხანდახან თვალში ცრემლი უბრწყინავდა და უფრო გულჯავრიანად შებმოდა მიწას, რომ ნახნავნათესს უკაცობა არ დასტყობოდა.

* * *

ოთხი მოწიფული ვაჟი მოესწრო შრომელ კოლმეურნეს სოლომონ კვაჭანტირაძეს. ხანდაზმულმა გლეხმა კავი და თოხი გვერდზე გადასდო, რომ ნაჯაფი მკლავი ახლა მაინც დაესვენებინა.

იგი ბედნიერი იყო. მადლიერმა შვილებმა ტკბილი სიბერის დღეები გაუთენეს მიწასთან ჭიდილში გათეთრებულ მამას.

მაგრამ დაჭრა საბედისწერო ქამმა. მოხუცმა სოლომონმა ოთხი ვაჟი ერთად გაგზავნა უწმიდესი ვალის მოსახდელად.

ომში წავიდა ხელმარჯვე მხვნელი. ქალსა და მოზარდს გაუჭირდა ხნულის გატანა. მაშინ სოლომონმა ისევ შეაბა ხარები, მოხუც მამას არც თუ ისე გამწევი საქონელი შეხვდა: ღონიერი ხარები უფრო ჯანიერ მუშებს მიამგრეს.

სოლომონი მიხვდა, რატომ მოიქცნენ ასე: ვითომდა რაო! ბებერი ხარო და ღონიერი საქონელი დაგოჯაბნებს, ხარებს მოგვიცდენო!

ეწყინა, მაგრამ იყუჩა. საქმე დაიყვირებსო, გაიფიქრა, და ხორცდაყრილი საქონელი შინისაკენ გარეკა.

ამ დღიდან მოკიდებული, სოლომონს მუხლებში ძალა შეემატა, თითქოს წლები გაუნახევრდა.

სუფთა ბინა, ნოყიერი საკვები, ნიადაგ მიდარაჯებული თვალი მალე დაეტყო მასზე მიმგრებულ ხარებს. ისე უვლიდა, აპატივებდა, თითქოს მთელი დედამიწის გადახვნას აპირებდა.

მინდვრად რომ გავიდა, სოფლელებმა აღტაცებული თვალი შეავლეს სოლომონის ფერდგავსებულ საქონელს, რომელსაც ორთქლიან ხნულში სახნისი ისე მსუბუქად მიჰქონდა, თითქოს კისერზე უღელი კი არა, ბუმბული ედო.

პირველივე დღიდან დაწინაურდა მოხუცი. მისი დღიური ნორმა ჰექტარის მესამედი იყო, მაგრამ სოფელში არავის ახსოვს, რომ სოლომონ კვაჭანტირაძეს ორ დღიურზე ნაკლები მოეხნას.

ასე ჭარმაგად მუშაობდნენ ღრმა მოხუცები გიორგი ტუღუში და ეპიფანე გოგოტიშვილი, თომა ღლონტი და სილიბისტრო კვერღელაძე. ეანგის საკბილოდ არ გახადეს ომში წასული შვილების თოხები და სახნისები და ისე გალესეს მიწაში, როგორც იქ, ფაშისტების გულზე, იმათი ხიშტი ილესებოდა.

განა უბრალოდ უთქვამს ძველს ქართველს, ბებერი ხარისა რქანიც ეწევიანო.

მტრისადმი სიძულვილი სიბერეს მხარში შეუდგა და შეუძლებელი შეაძლებინა.

* * *

„როცა მოსე ციტრუსების ბაღში შედის, ღობის სარებსაც უხარიან“, — ჩამოლაპარაკა ჩემმა თანამგზავრმა, როდესაც პლანტაციას მივუახლოვდით.

ეს არ იყო მხოლოდ ლამაზი და მოსწრებული სიტყვა გურული კაცისა.

მოსე ბაღათურია ციტრუსების ნამდვილი მესაიდუმლეა.

რამდენიმე წელია მან ერთმა ითავა ორი ათას შვიდასი ნარგავის მოვლა, და თითქოს ყოველ მათგანს გულში უჯდეს, თითქოს ხედავდეს მათი მასაზრდოებელი წვენის მოძრაობას, ისე გონივრულად აწესრიგებს თვითეული მცენარის ცხოვრებას.

ბერწი ტოტიც იშვიათად გამოერევა ამ ნიჭიერი მებაღის ხელში გამოვლილ ხეხილს.

მოსეს რომ ჰკითხონ, რამდენჯერ შემობარავ ნარგავს, ან რიგებ-შუა მიწას რამდენჯერ გათოხნიო, ძლიერ გაუკვირდება.

განა დედა ძუძუმწოვარას რძეს უანგარიშებს? იმდენჯერ გათოხნის, რამდენჯერაც საქმე მოითხოვს.

ეგ რომ ასეა, ამას ადასტურებს შარშან გეგმაზე გადამეტებული 50 ათასი მანდარინი და ლიმონი.

„ჩემი გეგმა—ჩემი გულია, რამდენსაც მეტყვის, იმდენს გავაკეთებ“, ლაპარაკობს ხანშესული, კეთილი სახის გლეხი მოსე ბაღათურია.

წელს ვადამდე მოათავა ციტრუსების ძირების შემობარვა, სასუქის შეტანა, ქარსაფარი ზოლისა და ხერგულის გაშენება.

ბევრს აკეთებს, რადგან ასე ეუბნება გული პატიოსანი.

* * *

წლევანდელ მოსავალს გამარჯვების მოსავალი უწოდა ხალხმა.

იმიტომ უწოდა, რომ წლევანდელი მოსავლის ჰური და ღვინო იმ ვაჟკაცების საომარი საგზალი იქნება, რომლებიც ახლა გამარჯვების გზაზე მიდიან და მტერს მისსავე კარმიდამოში ანადგურებენ.

„ის რომ გავიგე, ჩვენი ჯარები საზღვარზე მივიდნენო, გული ისე გამიხდა, ვითომც ჩემი ბიჭი გაცოცხლებულიყოს!“, მითხრა ერთმა ხნიერმა ქალმა. შავები ეცვა, ხელში სეკატორი ეჭირა და ჩაის ბუჩქებს ჰკრეჭდა.

დიდი და განუსაზღვრელია ამ სიხარულის ძალა.

არა მარტო სიტყვაში — ყოველ საქმეში დუღს და გადმოდის იგი, რომ გამარჯვების მოსავლის გამარჯვებას დაეწინდროს.

მახარაძის რაიონის გლეხებმა მტკიცედ გადასწყვიტეს ხელიდან არ გაუშვან საქართველოს ბოლშევიკების ძვირფასი ჯილდო.

ამის შესახებ სიტყვა არავის დაუძრავს ჩემთან.

მათი გულისთქმა მიწამ გამიმხილა, რომელსაც ახლა გულში ჩაუკრავს კარგი მარცვალი, უხვი სასუქი, და როგორც გვირგვინი თავზე დაუდგამს მადლიანად მოვლილი ჩაის ბუჩქები და ნარინჯები.

მოქმედი არმია (კარელიის ფრონტი). მარხილში შებმული ირმები, რომლებიც მონაწილეობდნენ მოთხილამურეთა ქვეგანაყოფის ორასკილომეტრიან გადასვლაში, ეზიდებოდნენ საომარ მასალებს და გამოჰყავდათ დაჭრილები. ფოტო მ. აგეევისა

ევროპაში შეჭრა—გამანადგურებელი დარტყმა გერმანიისადმი თუ გაჭიანურებული ბრძოლა გამოსაფიზავად?

გენერალ-მაიორი მ. გალაქტიონოვი

დღითი დღე ახლოვდება ვადები, როცა განხორციელებულ იქნება თეირანის კონფერენციის მიერ დასახული მოკავშირეთა არმიების აქტიური ერთობლივი მოქმედება. ევროპაში შეჭრა ახლა დღის პრაქტიკულ საკითხად იქცა. როგორც კურიოზი, აღსანიშნავია, რომ ჰიტლერელი ყალთაბანდები, რომელთაც როგორც ცეცხლის ისე ეშინოთ ყველა მოკავშირე სახელმწიფოთა არმიების მომავალი მძლავრი და ზრდადი შეტევისა, თვალის ასახვევად ზოგჯერ აცხადებენ, თითქოს ისინი შიშობენ... რომ გადაიდოს შეჭრა! ჰიტლერელმა რადიო-მიმოხილველმა გენერალმა დიტმარმა 29 თებერვლის მიმოხილვაში განაცხადა:

„თუ წინათ ისეთი პერიოდი იყო, როცა ჩვენ ერთგვარი შეშფოთებით მოველოდით შესაძლებელ შემოჭრას, ახლა უფრო გამართლებულია სხვაგვარი შეშფოთება, — რომ ინგლისელებსა და ამერიკელებს შეუძლიათ არ მოვიდნენ... ერთიც ვნახოთ და ისინი მარტო მოჩვენებითობას დასჯერდნენ, მაშინ რაღა უნდა ვქნათ?“

ეს ოინი შეიძლებოდა ჩაგვეთვალა მხოლოდ ტყეში თაღლითობად, რაშიც ესოდენ ნაცადი გერმანელი რადიოგენერალი, რომ არსებითად ანალოგიური განცხადება არ გაეკეთებინა ინგლისელ კონსერვატორ ეორდს, რომელმაც პარლამენტში თებერვლის დამლევს შემდეგი სთქვა:

„მე დარწმუნებული ვარ, რომ ჰიტლერი და ნაცისტები სწორედ მეორე ფრონტს მოელიან, რადგან ისინი იმედოვნებენ და სწამთ, რომ მათ შეუძლიათ, ჩვენი ზღვაში გადაყრა თუ არა, ადგილზე დამარცხება მაინც“.

სამწუხაროდ, ეორდი მარტო არ არის. როგორც სჩანს, შეჭრის ვადების მოახლოებასთან დაკავშირებით დიდ ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებში ხშირდება ხან ამჯარი, ხან კი ოდნავ შენიღბული გამოსვლები ევროპაში შეჭრის წინააღმდეგ მოკავშირეთა საქმიანადმი მტრულად განწყობილი ელემენტების მხრივ. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთი გამოსვლები მკვეთრად ეწინააღმდეგება ინგლისისა და ამერიკის პასუხისმგებელ მოღვაწეთა განცხადებებს, აგრეთვე ფაქტებს, რომლებიც ადასტურებენ ჩვენი მოკავშირეების ენერგიულ მზადებას აქტიური ოპერაციებისათვის კონტინენტზე.

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია შევეხოთ იმას, თუ რა ხასიათი ექნება მომავალ შეჭრას ევროპაში? თეირანის კონფერენციის გადაწყვეტილებანი სრული სიცხადით მეტყველებენ იმ გამანადგურებელ დარტყმებზე, რომლებსაც მოკავშირენი გერმანიას მიაყენებენ აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან. მაშასადამე, დასავლეთ ევროპაში შეჭრა წარმოგვიდგება როგორც ასეთი ულმობელი და გამანადგურებელი დარტყმა დასავლეთიდან. მთელი სიმძლავრით განხორციელებულმა ამ დარტყმამ, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან იმავდროულ დარტყმებთან ერთად, უნდა გამოიწვიოს გერმანიის სწრაფი განადგურება. ცხადია, ასეთი ამოცანა ძალიან სათანადო დაუძაბავად არ წყდება. მაგრამ ამ ამოცანის დაყენებას საკმაოდ რეალური ბაზა აქვს: თავისი სამხედრო მდგომარეობით გერმანია ამჟამად ახლოს არის კატასტროფასთან, ჩვენს მოკავშირეებს კი ყველა საჭირო ძალა და საშუალება მოეპოვებათ, რათა სწრაფი და გამანადგურებელი დარტყმები მიაყენონ მტერს.

მაგრამ ინგლის-ამერიკის პრესის ერთი ნაწილი დიდი გულმოდგინეობით ქადაგებს სხვა კონცეფციას, რომლის თანახმადაც ევროპაში შეჭრა მხოლოდ პროლოგი იქნება ხანგრძლივი ომისა გერმანიის გამოსაფიტავად.

მაგალითად, ინგლისური გაზეთ „ობსერვერის“ მიმომხილველი ირწმუნება, რომ მომავალი კამპანია მიმართული იქნება მტრის რეზერვების გამოსაფიტავად, რაც ხორცელდება ფრონტის თანდათანობითი გაფართოების გზით. სწრაფი დარტყმის ნაცვლად, კამპანია ვითომ მიიღებს გამოსაფიტავად წარმოებული თანდათან გაძლიერებული ომის ხასიათს.

ზოგიერთი ოფიციალური პირნიც კი თეირანის კონფერენციის გადაწყვეტილებათა დეკლარაციის წინააღმდეგ ცდილობენ ევროპაში შეჭრა წარმოგვიდგინონ როგორც გაჭიანურებული ომის ხანგრძლივი ოპერაცია. 1 მარტს სკრენტონში (პენსილვანიის შტატი) თავის გამოსვლაში ინგლისის ელჩმა ა. შ. შტატებში ჰალიფაქსმა, რომელიც ევროპაში მომავალი შეჭრის სიძნელეებს შეეხო, არ დაშურა შავი საღებავები იმისათვის, რომ თავისი ამერიკელ მსმენელებისათვის მეტად ხანგრძლივ და გაჭიანურებულ საქმედ წარმოედგინა საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში.

არსებითად იმავე აზრს ატარებს ამერიკული ჟურნალი „იუნაიტედ სტეიტს ნიუსი“, რომელიც შემდეგნაირად მსჯელობს:

„დასავლეთ ევროპაში შეჭრას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება გერმანელებისათვის, ვიდრე გერმანელთა არმიები ნამდვილად არ იქნება განადგურებული ბრძოლის ველზე. გერმანიის არმიების ნამდვილი განადგურება შესაძლოა იქნეს ხანგრძლივი, ძნელი და ძვირადღირებული პროცესი... საომარი ოპერაციების გაჭიანურების გერმანულმა სტატეგიამ შეიძლება 1945 წლამდე გააჭიანუროს ევროპაში წარმოებული ომი“

საინტერესოა, რომ ამერიკის ჟურნალს არ შეუძლია არ აღიაროს, რომ ახლა სწორედ ჰიტლერელთა სარდლობის გეგმები მიზნად ისახავენ ოპერაციების გაჭიანურებას. ახლა გერმანელები დაინტერესებული არიან იმით, რომ გადაიდონ გადამწყვეტი საომარი მოქმედების გაჩაღება. ისინი იმედს ამყარებენ იმაზე, რომ ევროპის კონტინენტზე შეჭრა გამოსაფიტავად წარმოებული გაჭიანურებული ბრძოლის ვარიანტად იქცევა. მიუხედავად ამისა, ამერიკული ჟურნალი მაინც სთვლის, რომ ევროპაში შეჭრა „ხანგრძლივი პროცესი“ იქნება.

გამოფიტვის სტრატეგიისათვის, რაც თავის გამოხატულებას პოულობს მსგავს წარმოდგენებში დასავლეთ ევროპაში ჩვენი მოკავშირეების მომავალი შეჭრის. შესახებ, შეიძლება გვეწოდებინა მცირე საქმეთა სტრატეგია. სხვათა შორის, იგი კარგად არის ცნობილი ჯერ კიდევ წარსული მსოფლიო ომის გამოცდილებით, როცა ზოგიერთ არაშორსმჭვრეტელ ადამიანს იმედი ჰქონდა მიწაში ჩასანერგებელიყო და ამ გზით „გამოეჭედა“ გერმანიაზე გამარჯვება. როგორც ცნობილია, გამარჯვება პასიური ლოდინით როდი იქნა მოგწეული: გერმანია გამოფიტა მძიმე ბრძოლებში, რომლებიც მას თავს დაატყდა მოკავშირეთა აქტიური შეტევითი მოქმედების შედეგად, და იგი 1918 წელს განადგურებულ იქნა მოკავშირეთა მთელი რიგი შემმუსვრელი დარტყმებით დასავლეთის, ბალკანეთისა და იტალიის ფრონტებზე და ახალგაზრდა წითელი არმიის ასეთივე დარტყმებით აღმოსავლეთში.

მეორე მსოფლიო ომი დაიწყო საფრანგეთის არმიის ჩაგდებით მაჟინოს ხაზის სიმაგრეებში, მაშინ როდესაც ჰიტლერული გერმანია სუსტ პოლონეთთან ომში ამოწმებდა ბრძოლის ველზე ახალი, მექანიზებული არმიის გამოყენებას. 1940 წლის ზაფხულში მოკავშირეთა სტრატეგია, რომელიც ორიენტაციას იღებდა გერმანიის ბლოკადისა და მისი გამოფიტვისაკენ პოზიციურ ომში, გაკამკამებულ იქნა. გერმანიამ ხელში ჩაიგდო დასავლეთ ევროპის ოკუპირებული ქვეყნების რესურსები, გაძლიერდა ეკონომიურად და სამხედრო მხრივ. ამრიგად, გამოფიტვის სტრატეგიის მეთოდებმა არა მარტო ვერ გამოიწვიეს გერმანიის ნამდვილი დასუსტება, არამედ, პირიქით, ხელიც კი ვერ შეუშალეს მის გაძლიერებას.

გერმანიის ნამდვილი დასუსტება დაიწყო მხოლოდ ბრძოლებში საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. აქტიური თავდაცვიდან, რაც ჰქონდა მტრის ძალებს, წითელი არმია შეტევაზე გადავიდა, განუწყვეტლივ აყენებს მძიმე დარტყმებს გერმანიის ფაშისტურ არმიას, სპობს მის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის შედეგად გერმანია ამჟამად მიყვანილია ადამიანთა რეზერვების ამოწურვამდე და მატერიალური რესურსების უკიდურეს დაძაბვამდე.

დღემდე ევროპის კონტინენტზე გერმანიის წინააღმდეგ ომის მსვლელობა იმით ხასიათდებოდა, რომ დიდი მასშტაბის აქტიური ოპერაციები წარმოებდა მხოლოდ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ევროპაში მეორე ფრონტის არარსებობა იმას გამოხატავდა, რომ დიდი ბრიტანეთი და შეერთებული შტატები გერმანიასთან ომში იცავდნენ გამოფიტვის ლოდინის სტრატეგიას. საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის პირველ პერიოდში ეს დაკავშირებული იყო იმასთან, რომ ჩვენს მოკავშირეებს ესაჭიროებოდათ ერთგვარი ვადა თავიანთი შეიარაღებული ძალების გაწყობისათვის. მაგრამ როგორ უნდა აიხსნას გამოფიტვის ლოდინის სტრატეგიის ქადაგი ინგლისისა და ამერიკის გარკვეული წრეებისა და პრესის ორგანოების მხრივ ამჟამად, როცა დასავლეთ ევროპაში შეჭრის ამ წინადღეს ეს წრეები გვირჩევენ მომავალშიც დავიცვათ გამოსაფიტავად შიმარილული გაჭიანურებული ბრძოლის მეთოდები?

მოკლედ განვიხილოთ ეს მეთოდები.

მარტივი ყოველისა ეს არის გერმანიის ბლოკადა. პირველ მსოფლიო ომში ბლოკადა, უეჭველია წარმოადგენდა გერმანიის დამარცხების ერთ-ერთ მიზეზს. მაგრამ მისი ეფექტიანობა უმთავრესად გამოვლინდა გერმანიის სასურსათო მდგომარეობის კატასტროფულ გაუარესებაში და უფრო ნაკლებად მრეწველობის მომარაგების სიძნელეებში ზოგიერთი სახის ნედლეულითა და მასალებით. ცხობილია, რომ ომის დამთავრებამდე გერმანიის სამხედრო მრეწველობა სავსებით აკმაყოფილებდა ფრონტის განაცხადებს საჭურველზე (გარდა ტანკებისა) და საომარ მასალებზე.

ახლანდელი ომის მსვლელობაში გერმანიამ ხელში ჩაიგდო მთელი დასავლეთი ევროპა, რამაც მნიშვნელოვნად გააფართოვა მისი მატერიალური რესურსები. გარდა ამისა ახლანდელი ომის პირობებში გერმანიის ბლოკადა სულაც არ არის სრული. ამის გამო გერმანელებმა ახლანდელ ომში შესძლეს გადაელახათ ეკონომიური სიძნელენი და სამხედრო წარმოება შეენარჩუნებინათ გაცილებით უფრო მაღალ დონეზე, ვიდრე წარსულ ომში. მეორე მსოფლიო ომის ხანგრძლივობა, რაც უკვე ოთხნახევარ წელიწადს შეადგენს, მთელი სიცხადით გვიჩვენებს, რომ გერმანიაზე გამარჯვებისათვის — კიდევაც რომ განვიხილოთ საკითხი გამოფიტვის სტრატეგიის თვალსაზრისით,—აუცილებელია წავართვათ მას რაიონები, საიდანაც იგი იღებს თავის მატერიალურ რესურსებს, ე. ი. აუცილებელია აქტიური შეტევითი ოპერაციები.

თანამედროვე პირობებში გამოფიტვისათვის, წარმოებულმა ომმა შეიძინა ისეთი მძლავრი იარაღი—ავიაცია. ჩვენ სრულიადაც მიზნად არა გვაქვს შემცირებულად დავხატოთ ამ იარაღის უდიდესი მნიშვნელობა, მაგრამ საჰაერო ომის გამოცდილებამ ამომწურავი დამაჯერებლობით ცხადყო, რომ შორმოქმედი ბომბდამშენი ავიაციის მარტოოდენი თავდასხმები, რომლებსაც სახელეთო ჯარების ოპერაციები არ ახლავან, წარმოადგენენ ნაგრძელივი ბრძოლის საშუალებებს. საჭიროა გააფთრებული საჰაერო ომის წლები, რათა ისეთი მოწინააღმდეგის მიმართ, როგორიც არის გერმანია, არსებითს შედეგებს მივაღწიოთ მისი გამოფიტვის მხრივ. გერმანიის ფრიად ინტენსიურმა საჰაერო დაბომბვამ ამ უკანასკნელ თვეებში, რომელთაც, უეჭველია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ომის საერთო მსვლელობისათვის, მაინც ვერ გამოიწვია გერმანიის სამხედრო წარმოების მნიშვნელოვანი შემცირება. ა. შ. შტატების სამხედრო მინისტრის მოადგილემ პატერსონმა 24 თებერვლის გამოსვლაში განაცხადა, რომ ბომბდამშენთა თავდასხმებს გერმანიის საავიაციო ქარხნებზე მწყობრიდან არ გამოჰყავთ ისინი საბოლოოდ და რომ ხდება მათი სწრაფად აღდგენა. უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელ ხანს ინგლის-ამერიკის პრესაში სულ უფრო და უფრო ხშირად გამოსთქვამენ მარცხებულ შეხედულებას საჰაერო დაბომბვათა მნიშვნელობაზე, რომლებიც წარმოადგენენ არა თვითმიზანს, არამედ კონტინენტზე სახმელეთო ჯარების შეჭრის მხოლოდ პრელუდიას.

გადავიდეთ საერთო მტრის წინააღმდეგ ჩვენი მოკავშირეების საომარი მოქმედების მესამე მომენტზე—სადესანტო ოპერაციებზე იტალიაში. უკვე სამიმეოთხედი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც პირველი გადასხვლომა განხორციელდა კუნძულ სიცილიაზე, და ახლა შეგვიძლია ზოგიერთი დასკვნა გავაკეთოთ ამ ოპერაციების ხასიათის შესახებ. ჭეთი შეზღუდული მასშტაბი ახლა სრულიად აშკარაა, იტალიაში ძირითადი ფრონტი ანაწილდებს გერმანელთა მხოლოდ 9 დივიზიას. ინგლის-ამერიკის ჯარების გადასხვლმ ნეტუნო-ანციოს რაიონში, პრესის ცნობით, გერმანელთა სარდლობა აიძულა ბრძოლაში გამოეყვანა კიდევ რამდენიმე დივიზია. იტალიაში ოპერაციებმა გაჭიანურებული ხასიათი მიიღეს. ეს უეჭველია ამ ოპერაციების წარმოების მეთოდებით აიხსნება. კაპიტანი ლიდელ გარტი ინგლისურ გაზეთ „დეილი მეილში“ რომის სამხრეთით გადასხმული დესანტის თაობაზე წერდა:

„ზღვისმიერი ოპერაციების ჩვენი დოქტრინა კვლავ ეყრდნობა იდეას, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ „სტატიკური ხიდწინა სიმაგრე“ შეჭრის პირველი ფაზის დროს. ეს დოქტრინა სცვლის იმ „დინამიკური ხიდწინა სიმაგრის“ ახალ კონცეფციას, რომელიც ფართოვდება თითქმის მის შექმნასთან ერთად, ისეთი სიმაგრეების კონცეპტიას, როგორიც გერმანელებმა განახორციელეს ნორვეგიაში. რისკს ჩვენ უსაშიშრობა გვირჩევნია“.

ამ უკანასკნელი ფრაზის გამო დავსძენთ, რომ უსაშიშრობისადმი გადაჭარბებული მისწრაფება ყველაზე უარესი სახის რისკს წარმოადგენს. და ეს უკვე მრავალგზის დადასტურა ახლანდელი ომის გამოცდილებამ.

იტალიაში წარმოებული ოპერაციები იმ დებულების საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენენ, რომ გამოფიტვის სტრატეგიას არ შეუძლია გამოიწვიოს მოწინააღმდეგის სერიოზული დასუსტება, რაც მისაწვდომი მხოლოდ აქტიური შეტევითი მოქმედებისა და გადამწყვეტი ბრძოლების განხორციელების შედეგად. იტალიაში კი ოპერაციები დღემდე მცირე საქმეთა სტრატეგიის ფარგლებში სწარმოებს, რომელსაც გადამწყვეტი შედეგები არ მოაქვს და ომს აჭიანურებს.

ევროპაში მეორე ფრონტის ცნებას მთელი მსოფლიო უკავშირებს გადამწყვეტი ხასიათის ოპერაციებზე გადასვლას. შეიძლება თუ არა მათი განხორციელება? ცხადია, არ უნდა წარმოვიდგინოთ შემცირებულად ევროპაში შეჭრასთან დაკავშირებული ოპერაციების სიძნელენი. ერთ-ერთ სიძნელეს შეიცავს თვით რაობა სადესანტო ოპერაციებისა, რომელთაგანაც თითოეული იწყება მცირე ძალების გადასხმით, რაც ამოცანას უადვილებს თავდამცველს. მაგრამ ბრძოლის ეს ეტაპი, ალბათ, არ ამარკოლებს ჩვენს მოკავშირეებს, რადგან სადესანტო ოპერაციებს გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ ზღვაში ბატონობისა და ჰაერში უპირატესობის პირობებში სწრაფად გადასხვის თავდამპირველი სტადია ტარდება დიდი წარმატებით. აღნიშნულ ოპერაციებს სხვა მხრივ აქვთ ნაკლოვანებანი. უწინარეს ყოვლისა ამ მხრივ, რომ მათი მასშტაბები მეტად შეზღუდულია მაშინ, როდესაც ჩვენს მოკავშირეებს მოეპოვებათ თანამედროვე ტექნიკით სრულად აღჭურვილი უზარმაზარი არმიები. მეორე ნაკლს წარმოადგენს ოპერაციების განვითარების ნელი ტემპი, გაუბედავი მოქმედება. ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანია ოპერაციებს რომ გადამწყვეტი ხასიათი მიეცეს, ისინი უნდა გაიშალონ გერმანიისათვის სასიცოცხლო მნიშვნელოვან მიმართულებებზე. იტალიის ასპარეზზე გერმანიის სარდლობამ შესძლო თავდაცვის დასაყრდენად, რათა დრო მოეგო სწორედ იმიტომ, რომ აქ მას შეუძლია ტერიტორიის ნაწილი შესწიროს ისე, რომ არსებითი ზიანი არ განიცადოს მთლიანად ომის წარმოებაში.

ევროპაში შეჭრა რომ იტალიის ტიპის მთელ რიგ კერძო ოპერაციებად იქცეს, გერმანია საშუალებას მიიღებდა თავდაცვა ეწარმოებინა დივიზიების შეზღუდული რაოდენობით და წინანდებურად დასტოვებდა თავის მთავარ ძალებს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. ამიტომ საერთო-სამოკავშირეო სტრატეგიის მოთხოვნათა შესაბამისი იქნებოდა მხოლოდდამხოლოდ ფართო ფრონტით შეჭრა, ყველაზე უფრო სასიცოცხლო მიმართულებებზე შეჭრა დიდი ძალებით და გადამწყვეტი მიზნებით. მხოლოდ ასეთი შეჭრა გამოგლეჯდა გერმანიას ხელიდან მისი სტრატეგიის მთავარ საშუალებას—ომის გაჭიანურებას.

მოკავშირეთა მძლავრი ძალებით ერთდროული გამანადგურებელი დარტყმების მიყენება აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან უნდა იქნეს უმოკლესი, ეს ბრალი ეფა ჩარალთან ნაკლებ ბარბაროსულ ბრძოლებს, ეს ბრალ